

ეპიგრაფიკული ქვებზე და ხელნაწერთა
მინაწერები
I

გურამ აბრამიშვილი

სტეფანოზ გამფალის ფრესკული
წარწერა ატენის სიონში

მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედ. მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედ. მოადგილე).

სერიის და ტომის რედაქტორი ზ. ალექსიძე

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашиа (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзигური (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Меликшвили, Е. П. Метрели, Э. В. Хоштария.

Редактор серии и тома З. Н. АЛЕКСИДЗЕ

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

ზ. ალექსიძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, თ. გამყრელიძე, კ. გრიგოლა, ი. დოლიძე, მ. დუმბაძე, რ. კიკნაძე, ქ. ლომთათიძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ე. მეტრეველი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. სურგულაძე, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (თავმჯდომარე), მ. შანიძე, ნ. შოშიაშვილი, ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია, ს. ჯიქია.
კომისიის მდივანი მ. აბაშიძე.

КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

З. Н. Алексидзе, А. Г. Барамидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Т. В. Гамкрелидзе, К. Г. Григолия, Н. С. Джанашиа, С. С. Джикия, Ш. В. Дзидзигური (председатель), И. С. Долидзе, М. К. Думбадзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе, К. В. Ломтатидзе, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили (зам. председателя), Е. П. Метревели (зам. председателя), А. Н. Сургуладзе, М. А. Шанидзе, Н. Ф. Шошнашвили, Э. В. Хоштария.

Секретарь комиссии М. Д. Абашидзе.

9 (C 41)
9(47.922)
ა 186

ატენის სიონის VIII საუკუნის ფრესკული წარწერის შესწავლის საფუძველზე ნარკვევში მიმოხილულია საქართველოს ისტორიის ნაკლებად შესწავლილი პერიოდის არაერთი საყურადღებო საკითხი, რომელთა მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც საქართველოს ისტორიის, ისე წყაროთმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით.

На основании изучения фресковой надписи VIII века в Атенском Снопе в очерке рассмотрен целый ряд значительных вопросов, представляющих интерес как с точки зрения истории Грузии, так источниковедения и истории Грузинского искусства.

◆ $\frac{10604}{M 607(03)-77}$ 123—77

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977

I

შუასაუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში საეჭვოა მოიძებნოს მეორე ისეთი ნიმუში, რომელიც მრავალენოვანი ლაპიდარული და ფრესკული წარწერის სიუხვით ატენის სიონს გაუწევდა მეტოქეობას (სურ. 1). მიუხედავად ამისა, ატენის სიონი არ მიეკუთვნება იმ ძეგლთა რიცხვს, რომელთა წარწერები ტაძრის აშენების თარიღის, მათი ქტიტორების ვინაობის, ღვაწლისა და სოციალური ფენის კუთვნილების შესახებ გვაწვდიან ხოლმე უტყუარ ცნობებს.

ატენის სიონის მშენებლობის თარიღის განსაზღვრას მკვლევრები თავდაპირველად ტაძრის სამხრეთის ფასადზე ამოკვეთილი იმ ვრცელი ქართული ასომთავრული წარწერის მიხედვით ცდილობდნენ, რომელიც ატენის ქალაქმშენებლობაზე მოგვითხრობს. წარწერაში მოხსენიებული ბაგრატ მეფის იდენტიფიკაციის შესაბამისად, ტაძრის აშენების თარიღს X — XI საუკუნეებით განსაზღვრავდნენ¹. მაგრამ ასეთი დათარიღების უსაფუძვლოება ცხადყო ტაძრის ინტერიერში მოხატულობის ფერადოვანი ფენის ერთი ნაწილის ჩამოშლის შედეგად გამოვლენილმა წარწერამ, რომელიც 853 წლით თარიღდება².

¹ Fr. Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkazes, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, III, Paris, 1839—43, გვ. 210—214; M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, VI, S-pt. 1847—48, გვ. 21—25; A. H. Муравьев, Грузия и Армения, III, СПб, 1818, გვ. 102—108; П. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, გვ. 23; П. С. Уварова, Атен. Материалы по археологии Кавказа, IV, Москва, 1894, გვ. 152; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875, გვ. 31—32.

² დ. ბაკრაძე, ისტორიული შენიშვნა, გაზ. „ივერია“, № 8, 1886; მისივე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X საუკუნ. დასასრულამდე), ტფილისი, 1889, გვ. 218—219; И. Джавახов, К вопросу о времени пос-

ეს იყო პირველი მაგალითი, რომელმაც გვაჩვენა, რომ ატენის სიონის კედლის მხატვრობის ქვეშ, უშუალოდ ბათქაშზე, მოსალოდნელი იყო გამოვლენილიყო უძველესი ფრესკული წარწერები. მართლაც, ამ თვალსაზრისით ყურადღებით რომ დავათვალიეროთ ატენის სიონის მოხატულობა, ტაძრის ოთხივე აფსიდაში უამრავ წარწერას შევამჩნევთ, რომლებიც მოხატულობის ქვეშ არიან მოქცეულნი და ფერადოვანი ფენის დაზიანების გამო მათი ცალკეული ასოები, ხან მთელი სტრიქონებიც კი, მოჩანან.

1946 წელს ატენის სიონის საკურთხევლის ბემაში მოხატულობის ფენის ჩამოცვენის შედეგად გამოვლინდა ფრესკული წარწერა, ხოლო 1956 წელს, ატენის სიონის კედლის მხატვრობის გაწმენდა-გამაგრებითი სამუშაოების დროს³, საკურთხევლის აფსიდში, მოხატულობის ქვეშ, ორი ფრესკული წარწერა გამოჩნდა. ერთი მათგანი, დედოფალ გუარამავრის გარდაცვალების მაუწყებელი წარწერა, თითქმის მთლიანად გაიწმინდა, მეორე — სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა კი — მხოლოდ ნაწილობრივ.

სამივე წარწერა სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში⁴. ამათგან, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა, რომელიც ატენის სიონის დღეისათვის ცნობილი ფრესკული ეპიგრაფიკის ნიმუშთა შორის ყველაზე ადრეულია, მხოლოდ ნაწილობრივ არის წაკითხული (სურ. 3, 4, 5).

1. თ. ბარნაველმა, რომელმაც პირველმა გამოაქვეყნა სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა, მხოლოდ მეოთხე, მეხუთე და ნაწილობრივ მერვე, მეცხრე სტრიქონები წაიკითხა. მკვლევრის დაკვირვებით, ეს წარწერა „როგორც ჩანს, ფაქტიურად სამი ცნობის შემცველია. ზემო სტრიქონები მთლიანად არ არის გამოსული ფერადი ფენის ქვევიდან და ამიტომ მათი შინაარსის გარკვევა შეუძლებელია. ძვირფას ცნობებს შეიცავს მომდევნო სტრიქონები, მაგრამ აქაც უკანასკნელი სტრიქონი ბოლომდე არ არის გამოჩენილი.

троения грузинского храма в Аteni по вновь обследованным эпиграфическим памятникам. «Христианский Восток», I. вып. III. СПб, 1912, гв. 277 — 297; თ. ბარნაველი. ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 17—18.

³ აღნიშნული სამუშაოები შეასრულა მხატვარმა რესტავრატორმა შ. აბრამიშვილმა.

⁴ ს. ბარნაველი. ატენის ახალი წარწერები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 1—2, თბ., 1946, გვ. 83—85; თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 12—19.

შემდეგი სტრიქონებიც მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოჩენილი, ამიტომ მათი შინაარსიც გაურკვეველი რჩება“⁵. ქვემოთ მოგვყავს თ. ბარნაველის წაკითხვა:

1. — ზ ით ხ — 474
2. — — — — — — — — — —
3. — — — — — — — — — —
4. თზ სზ — ხრდზბზსზ ჟ ხ : ზ ზიუსბდ
5. ყზზ ხდ[ყბ]||ბ||ქ||უ||დ||ყზზ ჭფზზ სეოფზდზ
6. იბსზ — — — — — — — — — —
7. — — — — — — — — — —
8. — — — |ი|უსზ დბჟზღზბსზ ყზჟს — — —
9. — — — ზჟზს ზზ რუსსზ ზიუსსზ ჭ(?)
10. — — — |ქ|ბ|ქ| — |ზ|ქ| ხ — ბ — — — —

1. „[ბრძანებით]ა ღმრთისაჲთა — — — — —
2. —
3. — [წელ]
4. თა სა[რ]კინოზთასა რკა (121=738/739 წელს) აღესრო-
5. ჳლა კოკრთხეოკლი მამფალი სტეფანოზ
6. ღმერთსა —
7. —
8. — — — [დ]ღესა ოთხშაბათსა ჟამს[ა]
9. — — — ამას ზედა წელსა დღესა მ (?)
10. —

ტექსტის შინაარსის ასეთი ფრაგმენტულობის მიუხედავად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ წარწერა საყურადღებო ცნობის შემცველი უნდა იყოს. ამ შთაბეჭდილებას ქმნის სტეფანოზ მამფალის მაღალი სოციალური მდგომარეობა, რომლის გარდაცვალების მაუწყებელი წარწერა ტაძრის ყველაზე საპატიო ადგილზე, — საკურთხევლის აფსიდში მოუთავსებიათ — წარწერის ოფიციალური, ეპიტაფიური ხასიათი, სტეფანოზის გარდაცვალების წლის სარკინოზთა წელთაღრიცხვით აღნიშვნა, აგრეთვე, წარწერის დასასრულს — დღის, რიცხვისა და წელის აღნიშვნა („დღესა ოთხშაბათსა“. „ამას ზედა წელსა“ „კთ“ (=29), რაც სტეფანოზ მამფალის გარდაცვალების გარდა სხვა რაღაც ცნობას უნდა გულისხმობდეს. აღნიშნულმა გა-

⁵ თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.
⁶ კორექტურული შეცდომაა (კთ=29-ს).

რემოებამ დაგვარწმუნა სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერის მთლიანად წაკითხვის მნიშვნელობაში როგორც წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, ისე ძეგლის ისტორიის გასათვალისწინებლად.

2. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა მოთავსებულია ატენის სიონის საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთ კალთაზე. წარწერა ნაწილობრივ მოჩანს XI საუკუნის კედლის მხატვრობის ფერადოვანი ფენის ქვეშიდან.

შავი საღებავით შესრულებული ათსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა მღვდელმთავართა რიგში გამოსახულ წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის მონუმენტური ფრესკული ფიგურის წელის არეშია მოქცეული და წარწერას XI საუკუნიდან მოყოლებული ამ გამოსახულების ფერადოვანი ფენა ფარავდა (სურ. 2).

ფრესკული წარწერის თითოეული სტრიქონი ბათქაშზე ამოკაწვრით გავლებულ ორ პარალელურ ხაზს შორის არის მოთავსებული⁷. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ Φ (ფ). \dagger (ქ), Ψ (ჯ) ასოები, რომელთა ბუნები ჩამოდიან ორი ხაზის ქვემოთ, სტრიქონებს შორის არსებულ არეზე, ხოლო ამ ასოების ზედა ნაწილები მთლიანად ავსებენ ორ ხაზს შორის არსებულ მონაკვეთს⁸. ასევე უნდა ყოფილიყო დაწერილი Ψ (უ) ასოც, რომლის ზედა მონაკვეთი ორ ხაზს შორის არსებულ არეს ავსებს.

წარწერა საერთო იერით გაწაფული კალიგრაფის ხელს გვიჩვენებს. ერთგვარად კუთხოვან ასოებს ოსტატი-კალიგრაფი კედლის სიბრტყეზე მსუბუქად და თავისუფლად მოხაზავს. ოდნავ შესამჩნევი მარცხნივ წარზიდული ხაზებით გამოსახავს \aleph (გ), η (ე), θ (ვ), λ (ლ) ასოებს, რაც, შესაძლოა, დეკორაციულ ელემენტს წარმოადგენდეს. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს Θ (თ) და Φ (ფ) ასოების მსგავსი დეკორაციული შვერილებით გაფორმება, რომელთათვისაც ზემოთა მარცხენა მხარეს წარზიდული შვერილები არასოდეს არ შეადგენდა „თანისა“ და „ფარის“ შემადგენელ ელემენტს.

წარწერის ქვედა ნაწილში და, განსაკუთრებით, ბოლო მეათე სტრიქონში შედარებით მცირე ზომის ასოები გვხვდება. ამის მიუხედავად, წარწერა მთლიანობაში კარგ დონეზე შესრულებული ეპიგრაფიკული ნიმუშის შთაბეჭდილებას ტოვებს.

⁷ საკურთხევლის აფსიდის გარშემო არსებული ხარისხის ზედა დონიდან წარწერის პირველ სტრიქონამდე მანძილი 268 სმ-ია.

⁸ თ. ბარნაეილი მათ ორიგინალური მოყვანილობის ასოებად მაიჩნევს (იხ. თ. ბარნაეილი, დასახ. ნაშრ., გვ. 15).

ნიშნებია. ასევე ჩვენს წარწერაში რიცხვითი ნიშნები გადმოცემული მეოთხე (:ა :ბ : გ:=121), მეცხრე (:გ : დ : =29) სტრიქონებში. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ამ რიცხვითი მნიშვნელობის მქონე : ბ : გ : ასოების წინ არსებული გ(ა) პირველი სტრიქონის საწყისი სიტყვის ბოლო ასო უნდა იყოს.

პირველი სტრიქონის დასაწყისში, ნაკლულ ადგილზე, ასოების საშუალო ზომების გათვალისწინებით, მხოლოდ ექვსი ასო ეტევა. წარწერის დასაწყისშივე სიტყვა „ღმრთივეგვრგვინოსანისა“-ს წინ 21-ის (: ბ : გ :) არსებობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სტეფანოზ მამფალის გარდაცვალების თარიღი ჯერ რომელიღაც ღმრთივეგვირგვინოსანის ზეობის 21 წლით ყოფილა განსაზღვრული, ხოლო შემდეგ, სარკინოზთა წელთაღრიცხვით — ჰიჯრით. პირველ სტრიქონს მთლიანად ასე ვკითხულობთ: [ხ¹ღ²ღ³ღ⁴ღ⁵ღ⁶ღ⁷ღ⁸ღ⁹ღ¹⁰ღ¹¹ღ¹²ღ¹³ღ¹⁴ღ¹⁵ღ¹⁶ღ¹⁷ღ¹⁸ღ¹⁹ღ²⁰ღ²¹] „|ზეობას|ა კ ა (=21) ღ(მრ)თ(ი)ვეგვრგვინოსანის|ა“.

მეორე სტრიქონის თავი და ბოლო ნაკლულია. შუა მონაკვეთზე გაირჩევა... თ¹ღ²ღ³ღ⁴ღ⁵ღ⁶ღ⁷ღ⁸ღ⁹ღ¹⁰ღ¹¹ღ¹²ღ¹³ღ¹⁴ღ¹⁵ღ¹⁶ღ¹⁷ღ¹⁸ღ¹⁹ღ²⁰ღ²¹ღ²²ღ²³ღ²⁴ღ²⁵ღ²⁶ღ²⁷ღ²⁸ღ²⁹ღ³⁰ღ³¹ღ³²ღ³³ღ³⁴ღ³⁵ღ³⁶ღ³⁷ღ³⁸ღ³⁹ღ⁴⁰ღ⁴¹ღ⁴²ღ⁴³ღ⁴⁴ღ⁴⁵ღ⁴⁶ღ⁴⁷ღ⁴⁸ღ⁴⁹ღ⁵⁰ღ⁵¹ღ⁵²ღ⁵³ღ⁵⁴ღ⁵⁵ღ⁵⁶ღ⁵⁷ღ⁵⁸ღ⁵⁹ღ⁶⁰ღ⁶¹ღ⁶²ღ⁶³ღ⁶⁴ღ⁶⁵ღ⁶⁶ღ⁶⁷ღ⁶⁸ღ⁶⁹ღ⁷⁰ღ⁷¹ღ⁷²ღ⁷³ღ⁷⁴ღ⁷⁵ღ⁷⁶ღ⁷⁷ღ⁷⁸ღ⁷⁹ღ⁸⁰ღ⁸¹ღ⁸²ღ⁸³ღ⁸⁴ღ⁸⁵ღ⁸⁶ღ⁸⁷ღ⁸⁸ღ⁸⁹ღ⁹⁰ღ⁹¹ღ⁹²ღ⁹³ღ⁹⁴ღ⁹⁵ღ⁹⁶ღ⁹⁷ღ⁹⁸ღ⁹⁹ღ¹⁰⁰ღ¹⁰¹ღ¹⁰²ღ¹⁰³ღ¹⁰⁴ღ¹⁰⁵ღ¹⁰⁶ღ¹⁰⁷ღ¹⁰⁸ღ¹⁰⁹ღ¹¹⁰ღ¹¹¹ღ¹¹²ღ¹¹³ღ¹¹⁴ღ¹¹⁵ღ¹¹⁶ღ¹¹⁷ღ¹¹⁸ღ¹¹⁹ღ¹²⁰ღ¹²¹ღ¹²²ღ¹²³ღ¹²⁴ღ¹²⁵ღ¹²⁶ღ¹²⁷ღ¹²⁸ღ¹²⁹ღ¹³⁰ღ¹³¹ღ¹³²ღ¹³³ღ¹³⁴ღ¹³⁵ღ¹³⁶ღ¹³⁷ღ¹³⁸ღ¹³⁹ღ¹⁴⁰ღ¹⁴¹ღ¹⁴²ღ¹⁴³ღ¹⁴⁴ღ¹⁴⁵ღ¹⁴⁶ღ¹⁴⁷ღ¹⁴⁸ღ¹⁴⁹ღ¹⁵⁰ღ¹⁵¹ღ¹⁵²ღ¹⁵³ღ¹⁵⁴ღ¹⁵⁵ღ¹⁵⁶ღ¹⁵⁷ღ¹⁵⁸ღ¹⁵⁹ღ¹⁶⁰ღ¹⁶¹ღ¹⁶²ღ¹⁶³ღ¹⁶⁴ღ¹⁶⁵ღ¹⁶⁶ღ¹⁶⁷ღ¹⁶⁸ღ¹⁶⁹ღ¹⁷⁰ღ¹⁷¹ღ¹⁷²ღ¹⁷³ღ¹⁷⁴ღ¹⁷⁵ღ¹⁷⁶ღ¹⁷⁷ღ¹⁷⁸ღ¹⁷⁹ღ¹⁸⁰ღ¹⁸¹ღ¹⁸²ღ¹⁸³ღ¹⁸⁴ღ¹⁸⁵ღ¹⁸⁶ღ¹⁸⁷ღ¹⁸⁸ღ¹⁸⁹ღ¹⁹⁰ღ¹⁹¹ღ¹⁹²ღ¹⁹³ღ¹⁹⁴ღ¹⁹⁵ღ¹⁹⁶ღ¹⁹⁷ღ¹⁹⁸ღ¹⁹⁹ღ²⁰⁰ღ²⁰¹ღ²⁰²ღ²⁰³ღ²⁰⁴ღ²⁰⁵ღ²⁰⁶ღ²⁰⁷ღ²⁰⁸ღ²⁰⁹ღ²¹⁰ღ²¹¹ღ²¹²ღ²¹³ღ²¹⁴ღ²¹⁵ღ²¹⁶ღ²¹⁷ღ²¹⁸ღ²¹⁹ღ²²⁰ღ²²¹ღ²²²ღ²²³ღ²²⁴ღ²²⁵ღ²²⁶ღ²²⁷ღ²²⁸ღ²²⁹ღ²³⁰ღ²³¹ღ²³²ღ²³³ღ²³⁴ღ²³⁵ღ²³⁶ღ²³⁷ღ²³⁸ღ²³⁹ღ²⁴⁰ღ²⁴¹ღ²⁴²ღ²⁴³ღ²⁴⁴ღ²⁴⁵ღ²⁴⁶ღ²⁴⁷ღ²⁴⁸ღ²⁴⁹ღ²⁵⁰ღ²⁵¹ღ²⁵²ღ²⁵³ღ²⁵⁴ღ²⁵⁵ღ²⁵⁶ღ²⁵⁷ღ²⁵⁸ღ²⁵⁹ღ²⁶⁰ღ²⁶¹ღ²⁶²ღ²⁶³ღ²⁶⁴ღ²⁶⁵ღ²⁶⁶ღ²⁶⁷ღ²⁶⁸ღ²⁶⁹ღ²⁷⁰ღ²⁷¹ღ²⁷²ღ²⁷³ღ²⁷⁴ღ²⁷⁵ღ²⁷⁶ღ²⁷⁷ღ²⁷⁸ღ²⁷⁹ღ²⁸⁰ღ²⁸¹ღ²⁸²ღ²⁸³ღ²⁸⁴ღ²⁸⁵ღ²⁸⁶ღ²⁸⁷ღ²⁸⁸ღ²⁸⁹ღ²⁹⁰ღ²⁹¹ღ²⁹²ღ²⁹³ღ²⁹⁴ღ²⁹⁵ღ²⁹⁶ღ²⁹⁷ღ²⁹⁸ღ²⁹⁹ღ³⁰⁰ღ³⁰¹ღ³⁰²ღ³⁰³ღ³⁰⁴ღ³⁰⁵ღ³⁰⁶ღ³⁰⁷ღ³⁰⁸ღ³⁰⁹ღ³¹⁰ღ³¹¹ღ³¹²ღ³¹³ღ³¹⁴ღ³¹⁵ღ³¹⁶ღ³¹⁷ღ³¹⁸ღ³¹⁹ღ³²⁰ღ³²¹ღ³²²ღ³²³ღ³²⁴ღ³²⁵ღ³²⁶ღ³²⁷ღ³²⁸ღ³²⁹ღ³³⁰ღ³³¹ღ³³²ღ³³³ღ³³⁴ღ³³⁵ღ³³⁶ღ³³⁷ღ³³⁸ღ³³⁹ღ³⁴⁰ღ³⁴¹ღ³⁴²ღ³⁴³ღ³⁴⁴ღ³⁴⁵ღ³⁴⁶ღ³⁴⁷ღ³⁴⁸ღ³⁴⁹ღ³⁵⁰ღ³⁵¹ღ³⁵²ღ³⁵³ღ³⁵⁴ღ³⁵⁵ღ³⁵⁶ღ³⁵⁷ღ³⁵⁸ღ³⁵⁹ღ³⁶⁰ღ³⁶¹ღ³⁶²ღ³⁶³ღ³⁶⁴ღ³⁶⁵ღ³⁶⁶ღ³⁶⁷ღ³⁶⁸ღ³⁶⁹ღ³⁷⁰ღ³⁷¹ღ³⁷²ღ³⁷³ღ³⁷⁴ღ³⁷⁵ღ³⁷⁶ღ³⁷⁷ღ³⁷⁸ღ³⁷⁹ღ³⁸⁰ღ³⁸¹ღ³⁸²ღ³⁸³ღ³⁸⁴ღ³⁸⁵ღ³⁸⁶ღ³⁸⁷ღ³⁸⁸ღ³⁸⁹ღ³⁹⁰ღ³⁹¹ღ³⁹²ღ³⁹³ღ³⁹⁴ღ³⁹⁵ღ³⁹⁶ღ³⁹⁷ღ³⁹⁸ღ³⁹⁹ღ⁴⁰⁰ღ⁴⁰¹ღ⁴⁰²ღ⁴⁰³ღ⁴⁰⁴ღ⁴⁰⁵ღ⁴⁰⁶ღ⁴⁰⁷ღ⁴⁰⁸ღ⁴⁰⁹ღ⁴¹⁰ღ⁴¹¹ღ⁴¹²ღ⁴¹³ღ⁴¹⁴ღ⁴¹⁵ღ⁴¹⁶ღ⁴¹⁷ღ⁴¹⁸ღ⁴¹⁹ღ⁴²⁰ღ⁴²¹ღ⁴²²ღ⁴²³ღ⁴²⁴ღ⁴²⁵ღ⁴²⁶ღ⁴²⁷ღ⁴²⁸ღ⁴²⁹ღ⁴³⁰ღ⁴³¹ღ⁴³²ღ⁴³³ღ⁴³⁴ღ⁴³⁵ღ⁴³⁶ღ⁴³⁷ღ⁴³⁸ღ⁴³⁹ღ⁴⁴⁰ღ⁴⁴¹ღ⁴⁴²ღ⁴⁴³ღ⁴⁴⁴ღ⁴⁴⁵ღ⁴⁴⁶ღ⁴⁴⁷ღ⁴⁴⁸ღ⁴⁴⁹ღ⁴⁵⁰ღ⁴⁵¹ღ⁴⁵²ღ⁴⁵³ღ⁴⁵⁴ღ⁴⁵⁵ღ⁴⁵⁶ღ⁴⁵⁷ღ⁴⁵⁸ღ⁴⁵⁹ღ⁴⁶⁰ღ⁴⁶¹ღ⁴⁶²ღ⁴⁶³ღ⁴⁶⁴ღ⁴⁶⁵ღ⁴⁶⁶ღ⁴⁶⁷ღ⁴⁶⁸ღ⁴⁶⁹ღ⁴⁷⁰ღ⁴⁷¹ღ⁴⁷²ღ⁴⁷³ღ⁴⁷⁴ღ⁴⁷⁵ღ⁴⁷⁶ღ⁴⁷⁷ღ⁴⁷⁸ღ⁴⁷⁹ღ⁴⁸⁰ღ⁴⁸¹ღ⁴⁸²ღ⁴⁸³ღ⁴⁸⁴ღ⁴⁸⁵ღ⁴⁸⁶ღ⁴⁸⁷ღ⁴⁸⁸ღ⁴⁸⁹ღ⁴⁹⁰ღ⁴⁹¹ღ⁴⁹²ღ⁴⁹³ღ⁴⁹⁴ღ⁴⁹⁵ღ⁴⁹⁶ღ⁴⁹⁷ღ⁴⁹⁸ღ⁴⁹⁹ღ⁵⁰⁰ღ⁵⁰¹ღ⁵⁰²ღ⁵⁰³ღ⁵⁰⁴ღ⁵⁰⁵ღ⁵⁰⁶ღ⁵⁰⁷ღ⁵⁰⁸ღ⁵⁰⁹ღ⁵¹⁰ღ⁵¹¹ღ⁵¹²ღ⁵¹³ღ⁵¹⁴ღ⁵¹⁵ღ⁵¹⁶ღ⁵¹⁷ღ⁵¹⁸ღ⁵¹⁹ღ⁵²⁰ღ⁵²¹ღ⁵²²ღ⁵²³ღ⁵²⁴ღ⁵²⁵ღ⁵²⁶ღ⁵²⁷ღ⁵²⁸ღ⁵²⁹ღ⁵³⁰ღ⁵³¹ღ⁵³²ღ⁵³³ღ⁵³⁴ღ⁵³⁵ღ⁵³⁶ღ⁵³⁷ღ⁵³⁸ღ⁵³⁹ღ⁵⁴⁰ღ⁵⁴¹ღ⁵⁴²ღ⁵⁴³ღ⁵⁴⁴ღ⁵⁴⁵ღ⁵⁴⁶ღ⁵⁴⁷ღ⁵⁴⁸ღ⁵⁴⁹ღ⁵⁵⁰ღ⁵⁵¹ღ⁵⁵²ღ⁵⁵³ღ⁵⁵⁴ღ⁵⁵⁵ღ⁵⁵⁶ღ⁵⁵⁷ღ⁵⁵⁸ღ⁵⁵⁹ღ⁵⁶⁰ღ⁵⁶¹ღ⁵⁶²ღ⁵⁶³ღ⁵⁶⁴ღ⁵⁶⁵ღ⁵⁶⁶ღ⁵⁶⁷ღ⁵⁶⁸ღ⁵⁶⁹ღ⁵⁷⁰ღ⁵⁷¹ღ⁵⁷²ღ⁵⁷³ღ⁵⁷⁴ღ⁵⁷⁵ღ⁵⁷⁶ღ⁵⁷⁷ღ⁵⁷⁸ღ⁵⁷⁹ღ⁵⁸⁰ღ⁵⁸¹ღ⁵⁸²ღ⁵⁸³ღ⁵⁸⁴ღ⁵⁸⁵ღ⁵⁸⁶ღ⁵⁸⁷ღ⁵⁸⁸ღ⁵⁸⁹ღ⁵⁹⁰ღ⁵⁹¹ღ⁵⁹²ღ⁵⁹³ღ⁵⁹⁴ღ⁵⁹⁵ღ⁵⁹⁶ღ⁵⁹⁷ღ⁵⁹⁸ღ⁵⁹⁹ღ⁶⁰⁰ღ⁶⁰¹ღ⁶⁰²ღ⁶⁰³ღ⁶⁰⁴ღ⁶⁰⁵ღ⁶⁰⁶ღ⁶⁰⁷ღ⁶⁰⁸ღ⁶⁰⁹ღ⁶¹⁰ღ⁶¹¹ღ⁶¹²ღ⁶¹³ღ⁶¹⁴ღ⁶¹⁵ღ⁶¹⁶ღ⁶¹⁷ღ⁶¹⁸ღ⁶¹⁹ღ⁶²⁰ღ⁶²¹ღ⁶²²ღ⁶²³ღ⁶²⁴ღ⁶²⁵ღ⁶²⁶ღ⁶²⁷ღ⁶²⁸ღ⁶²⁹ღ⁶³⁰ღ⁶³¹ღ⁶³²ღ⁶³³ღ⁶³⁴ღ⁶³⁵ღ⁶³⁶ღ⁶³⁷ღ⁶³⁸ღ⁶³⁹ღ⁶⁴⁰ღ⁶⁴¹ღ⁶⁴²ღ⁶⁴³ღ⁶⁴⁴ღ⁶⁴⁵ღ⁶⁴⁶ღ⁶⁴⁷ღ⁶⁴⁸ღ⁶⁴⁹ღ⁶⁵⁰ღ⁶⁵¹ღ⁶⁵²ღ⁶⁵³ღ⁶⁵⁴ღ⁶⁵⁵ღ⁶⁵⁶ღ⁶⁵⁷ღ⁶⁵⁸ღ⁶⁵⁹ღ⁶⁶⁰ღ⁶⁶¹ღ⁶⁶²ღ⁶⁶³ღ⁶⁶⁴ღ⁶⁶⁵ღ⁶⁶⁶ღ⁶⁶⁷ღ⁶⁶⁸ღ⁶⁶⁹ღ⁶⁷⁰ღ⁶⁷¹ღ⁶⁷²ღ⁶⁷³ღ⁶⁷⁴ღ⁶⁷⁵ღ⁶⁷⁶ღ⁶⁷⁷ღ⁶⁷⁸ღ⁶⁷⁹ღ⁶⁸⁰ღ⁶⁸¹ღ⁶⁸²ღ⁶⁸³ღ⁶⁸⁴ღ⁶⁸⁵ღ⁶⁸⁶ღ⁶⁸⁷ღ⁶⁸⁸ღ⁶⁸⁹ღ⁶⁹⁰ღ⁶⁹¹ღ⁶⁹²ღ⁶⁹³ღ⁶⁹⁴ღ⁶⁹⁵ღ⁶⁹⁶ღ⁶⁹⁷ღ⁶⁹⁸ღ⁶⁹⁹ღ⁷⁰⁰ღ⁷⁰¹ღ⁷⁰²ღ⁷⁰³ღ⁷⁰⁴ღ⁷⁰⁵ღ⁷⁰⁶ღ⁷⁰⁷ღ⁷⁰⁸ღ⁷⁰⁹ღ⁷¹⁰ღ⁷¹¹ღ⁷¹²ღ⁷¹³ღ⁷¹⁴ღ⁷¹⁵ღ⁷¹⁶ღ⁷¹⁷ღ⁷¹⁸ღ⁷¹⁹ღ⁷²⁰ღ⁷²¹ღ⁷²²ღ⁷²³ღ⁷²⁴ღ⁷²⁵ღ⁷²⁶ღ⁷²⁷ღ⁷²⁸ღ⁷²⁹ღ⁷³⁰ღ⁷³¹ღ⁷³²ღ⁷³³ღ⁷³⁴ღ⁷³⁵ღ⁷³⁶ღ⁷³⁷ღ⁷³⁸ღ⁷³⁹ღ⁷⁴⁰ღ⁷⁴¹ღ⁷⁴²ღ⁷⁴³ღ⁷⁴⁴ღ⁷⁴⁵ღ⁷⁴⁶ღ⁷⁴⁷ღ⁷⁴⁸ღ⁷⁴⁹ღ⁷⁵⁰ღ⁷⁵¹ღ⁷⁵²ღ⁷⁵³ღ⁷⁵⁴ღ⁷⁵⁵ღ⁷⁵⁶ღ⁷⁵⁷ღ⁷⁵⁸ღ⁷⁵⁹ღ⁷⁶⁰ღ⁷⁶¹ღ⁷⁶²ღ⁷⁶³ღ⁷⁶⁴ღ⁷⁶⁵ღ⁷⁶⁶ღ⁷⁶⁷ღ⁷⁶⁸ღ⁷⁶⁹ღ⁷⁷⁰ღ⁷⁷¹ღ⁷⁷²ღ⁷⁷³ღ⁷⁷⁴ღ⁷⁷⁵ღ⁷⁷⁶ღ⁷⁷⁷ღ⁷⁷⁸ღ⁷⁷⁹ღ⁷⁸⁰ღ⁷⁸¹ღ⁷⁸²ღ⁷⁸³ღ⁷⁸⁴ღ⁷⁸⁵ღ⁷⁸⁶ღ⁷⁸⁷ღ⁷⁸⁸ღ⁷⁸⁹ღ⁷⁹⁰ღ⁷⁹¹ღ⁷⁹²ღ⁷⁹³ღ⁷⁹⁴ღ⁷⁹⁵ღ⁷⁹⁶ღ⁷⁹⁷ღ⁷⁹⁸ღ⁷⁹⁹ღ⁸⁰⁰ღ⁸⁰¹ღ⁸⁰²ღ⁸⁰³ღ⁸⁰⁴ღ⁸⁰⁵ღ⁸⁰⁶ღ⁸⁰⁷ღ⁸⁰⁸ღ⁸⁰⁹ღ⁸¹⁰ღ⁸¹¹ღ⁸¹²ღ⁸¹³ღ⁸¹⁴ღ⁸¹⁵ღ⁸¹⁶ღ⁸¹⁷ღ⁸¹⁸ღ⁸¹⁹ღ⁸²⁰ღ⁸²¹ღ⁸²²ღ⁸²³ღ⁸²⁴ღ⁸²⁵ღ⁸²⁶ღ⁸²⁷ღ⁸²⁸ღ⁸²⁹ღ⁸³⁰ღ⁸³¹ღ⁸³²ღ⁸³³ღ⁸³⁴ღ⁸³⁵ღ⁸³⁶ღ⁸³⁷ღ⁸³⁸ღ⁸³⁹ღ⁸⁴⁰ღ⁸⁴¹ღ⁸⁴²ღ⁸⁴³ღ⁸⁴⁴ღ⁸⁴⁵ღ⁸⁴⁶ღ⁸⁴⁷ღ⁸⁴⁸ღ⁸⁴⁹ღ⁸⁵⁰ღ⁸⁵¹ღ⁸⁵²ღ⁸⁵³ღ⁸⁵⁴ღ⁸⁵⁵ღ⁸⁵⁶ღ⁸⁵⁷ღ⁸⁵⁸ღ⁸⁵⁹ღ⁸⁶⁰ღ⁸⁶¹ღ⁸⁶²ღ⁸⁶³ღ⁸⁶⁴ღ⁸⁶⁵ღ⁸⁶⁶ღ⁸⁶⁷ღ⁸⁶⁸ღ⁸⁶⁹ღ⁸⁷⁰ღ⁸⁷¹ღ⁸⁷²ღ⁸⁷³ღ⁸⁷⁴ღ⁸⁷⁵ღ⁸⁷⁶ღ⁸⁷⁷ღ⁸⁷⁸ღ⁸⁷⁹ღ⁸⁸⁰ღ⁸⁸¹ღ⁸⁸²ღ⁸⁸³ღ⁸⁸⁴ღ⁸⁸⁵ღ⁸⁸⁶ღ⁸⁸⁷ღ⁸⁸⁸ღ⁸⁸⁹ღ⁸⁹⁰ღ⁸⁹¹ღ⁸⁹²ღ⁸⁹³ღ⁸⁹⁴ღ⁸⁹⁵ღ⁸⁹⁶ღ⁸⁹⁷ღ⁸⁹⁸ღ⁸⁹⁹ღ⁹⁰⁰ღ⁹⁰¹ღ⁹⁰²ღ⁹⁰³ღ⁹⁰⁴ღ⁹⁰⁵ღ⁹⁰⁶ღ⁹⁰⁷ღ⁹⁰⁸ღ⁹⁰⁹ღ⁹¹⁰ღ⁹¹¹ღ⁹¹²ღ⁹¹³ღ⁹¹⁴ღ⁹¹⁵ღ⁹¹⁶ღ⁹¹⁷ღ⁹¹⁸ღ⁹¹⁹ღ⁹²⁰ღ⁹²¹ღ⁹²²ღ⁹²³ღ⁹²⁴ღ⁹²⁵ღ⁹²⁶ღ⁹²⁷ღ⁹²⁸ღ⁹²⁹ღ⁹³⁰ღ⁹³¹ღ⁹³²ღ⁹³³ღ⁹³⁴ღ⁹³⁵ღ⁹³⁶ღ⁹³⁷ღ⁹³⁸ღ⁹³⁹ღ⁹⁴⁰ღ⁹⁴¹ღ⁹⁴²ღ⁹⁴³ღ⁹⁴⁴ღ⁹⁴⁵ღ⁹⁴⁶ღ⁹⁴⁷ღ⁹⁴⁸ღ⁹⁴⁹ღ⁹⁵⁰ღ⁹⁵¹ღ⁹⁵²ღ⁹⁵³ღ⁹⁵⁴ღ⁹⁵⁵ღ⁹⁵⁶ღ⁹⁵⁷ღ⁹⁵⁸ღ⁹⁵⁹ღ⁹⁶⁰ღ⁹⁶¹ღ⁹⁶²ღ⁹⁶³ღ⁹⁶⁴ღ⁹⁶⁵ღ⁹⁶⁶ღ⁹⁶⁷ღ⁹⁶⁸ღ⁹⁶⁹ღ⁹⁷⁰ღ⁹⁷¹ღ⁹⁷²ღ⁹⁷³ღ⁹⁷⁴ღ⁹⁷⁵ღ⁹⁷⁶ღ⁹⁷⁷ღ⁹⁷⁸ღ⁹⁷⁹ღ⁹⁸⁰ღ⁹⁸¹ღ⁹⁸²ღ⁹⁸³ღ⁹⁸⁴ღ⁹⁸⁵ღ⁹⁸⁶ღ⁹⁸⁷ღ⁹⁸⁸ღ⁹⁸⁹ღ⁹⁹⁰ღ⁹⁹¹ღ⁹⁹²ღ⁹⁹³ღ⁹⁹⁴ღ⁹⁹⁵ღ⁹⁹⁶ღ⁹⁹⁷ღ⁹⁹⁸ღ⁹⁹⁹ღ¹⁰⁰⁰ღ¹⁰⁰¹ღ¹⁰⁰²ღ¹⁰⁰³ღ¹⁰⁰⁴ღ¹⁰⁰⁵ღ¹⁰⁰⁶ღ¹⁰⁰⁷ღ¹⁰⁰⁸ღ¹⁰⁰⁹ღ¹⁰¹⁰ღ¹⁰¹¹ღ¹⁰¹²ღ¹⁰¹³ღ¹⁰¹⁴ღ¹⁰¹⁵ღ¹⁰¹⁶ღ¹⁰¹⁷ღ¹⁰¹⁸ღ¹⁰¹⁹ღ¹⁰²⁰ღ¹⁰²¹ღ¹⁰²²ღ¹⁰²³ღ¹⁰²⁴ღ¹⁰²⁵ღ¹⁰²⁶ღ¹⁰²⁷ღ¹⁰²⁸ღ¹⁰²⁹ღ¹⁰³⁰ღ¹⁰³¹ღ¹⁰³²ღ¹⁰³³ღ¹⁰³⁴ღ¹⁰³⁵ღ¹⁰³⁶ღ¹⁰³⁷ღ¹⁰³⁸ღ¹⁰³⁹ღ¹⁰⁴⁰ღ¹⁰⁴¹ღ¹⁰⁴²ღ¹⁰⁴³ღ¹⁰⁴⁴ღ¹⁰⁴⁵ღ¹⁰⁴⁶ღ¹⁰⁴⁷ღ¹⁰⁴⁸ღ¹⁰⁴⁹ღ¹⁰⁵⁰ღ¹⁰⁵¹ღ¹⁰⁵²ღ¹⁰⁵³ღ¹⁰⁵⁴ღ¹⁰⁵⁵ღ¹⁰⁵⁶ღ¹⁰⁵⁷ღ¹⁰⁵⁸ღ¹⁰⁵⁹ღ¹⁰⁶⁰ღ¹⁰⁶¹ღ¹⁰⁶²ღ¹⁰⁶³ღ¹⁰⁶⁴ღ¹⁰⁶⁵ღ¹⁰⁶⁶ღ¹⁰⁶⁷ღ¹⁰⁶⁸ღ¹⁰⁶⁹ღ¹⁰⁷⁰ღ¹⁰⁷¹ღ¹⁰⁷²ღ¹⁰⁷³ღ¹⁰⁷⁴ღ¹⁰⁷⁵ღ¹⁰⁷⁶ღ¹⁰⁷⁷ღ¹⁰⁷⁸ღ¹⁰⁷⁹ღ¹⁰⁸⁰ღ¹⁰⁸¹ღ¹⁰⁸²ღ¹⁰⁸³ღ¹⁰⁸⁴ღ¹⁰⁸⁵ღ¹⁰⁸⁶ღ¹⁰⁸⁷ღ¹⁰⁸⁸ღ¹⁰⁸⁹ღ¹⁰⁹⁰ღ¹⁰⁹¹ღ¹⁰⁹²ღ¹⁰⁹³ღ¹⁰⁹⁴ღ¹⁰⁹⁵ღ¹⁰⁹⁶ღ¹⁰⁹⁷ღ¹⁰⁹⁸ღ¹⁰⁹⁹ღ¹¹⁰⁰ღ¹¹⁰¹ღ¹¹⁰²ღ¹¹⁰³ღ¹¹⁰⁴ღ¹¹⁰⁵ღ¹¹⁰⁶ღ¹¹⁰⁷ღ¹¹⁰⁸ღ¹¹⁰⁹ღ¹¹¹⁰ღ¹¹¹¹ღ¹¹¹²ღ¹¹¹³ღ¹¹¹⁴ღ¹¹¹⁵ღ¹¹¹⁶ღ¹¹¹⁷ღ¹¹¹⁸ღ¹¹¹⁹ღ¹¹²⁰ღ¹¹²¹ღ¹¹²²ღ¹¹²³ღ¹¹²⁴ღ¹¹²⁵ღ¹¹²⁶ღ¹¹²⁷ღ¹¹²⁸ღ¹¹²⁹ღ¹¹³⁰ღ¹¹³¹ღ¹¹³²ღ¹¹³³ღ¹¹³⁴ღ¹¹³⁵ღ¹¹³⁶ღ¹¹³⁷ღ¹¹³⁸ღ¹¹³⁹ღ¹¹⁴⁰ღ¹¹⁴¹ღ¹¹⁴²ღ¹¹⁴³ღ¹¹⁴⁴ღ¹¹⁴⁵ღ¹¹⁴⁶ღ¹¹⁴⁷ღ¹¹⁴⁸ღ¹¹⁴⁹ღ¹¹⁵⁰ღ¹¹⁵¹ღ¹¹⁵²ღ¹¹⁵³ღ¹¹⁵⁴ღ¹¹⁵⁵ღ¹¹⁵⁶ღ

ნის დასასრულს აღადგენს „[წელ]“ ასოთა კომპლექსს, რაც, მკვლევარის ვარაუდით, მეოთხე სტრიქონზე ასეთ გაგრძელებას უნდა გვაძლევდეს: — „[წელ]||თა[სა]რკინოზთასა“ და ა. შ¹¹. მეოთხე სტრიქონის დასაწყისზე (სურ. 6) კარგად იკითხება — **ღჯსჯ** (ბასა), რაც მესამე სტრიქონის ბოლო სიტყვის დასასრულია („ველმწიფო||ბასა“). მეოთხე სტრიქონს მთლიანად ასე ვკითხულობთ: **ღჯსჯ|სჯ|ტყინღ** **ზმჯსჯ** **ტ** **ბ** : **ჯ** **ჯინსტღ** „ბასა [სა]რკინოზთასა : რ : კ : ა (121 = 738 — 739 წ. წ.) აღესრო“.

მეხუთე სტრიქონს თ. ბარნაველი სწორად კითხულობს: **ყზ** **ბღ|ყ|ტ|მღ|ღყზ** : **ჭფზ** **სღ|ფჯღღ**: „კლა კ[ო]ვ[რ]! თხეოვლი: მ(ამ)ფ(ა)ლი სტეფანოზ:“

მეექვსე სტრიქონზე თ. ბარნაველი მხოლოდ **იძ-სჯ** ასოთა კომპლექსს კითხულობს და ამ ქარაგმას „ღმერთსა“-დ განმარტავს. სტრიქონის დასაწყისში მართლაც იკითხება ზემოაღნიშნული ასოები, რომლის შემდეგ **ჭ** (მ) ასოს ზედა ნაწილი და მუცლის რკალის ფრაგმენტი გაირჩევა. შემდეგ სტრიქონის მცირე მონაკვეთი დაზიანებულია, რომელზეც სამი ასო მოთავსდება. მეექვსე სტრიქონის მარჯვენა მონაკვეთის ხანგრძლივი შესწავლის შედეგად წავიკითხეთ შემდეგი: **ქძ-ზჯ** : **ჯჯ** **ჭღტზმჯ** **რტ,რს** „ქ(არ)თ(ოვე)ლ(თ)ა და მ(ე)გრ(ე)ლთა: ერის“. ამ სტრიქონის შინაარსმა გვიკარნახა **იძსჯ** (ღთსა) ასოთა კომპლექსი და მის შემდეგ არსებული **ჭ(მ)** ასე წაგვეკითხა: **იძ-სჯ** **ჭ|რ|რტ|** **ქძ-ზჯ** **ჯჯ** **ჭღტზმჯ** **რტ,რს** „ღ(მრ)თ(ი)სამ[იერ] ქ(არ)თ(ოვე)ლ(თ)ა და მ(ე)გრ(ე)ლთა ერის“. სტრიქონის ბოლო სიტყვა მომდევნო სტრიქონზე გადადის (სურ. 5, 6).

მეშვიდე სტრიქონის დასაწყისში კარგად იკითხება **ძჯზ** („თავ“), რაც მეექვსე სტრიქონის ბოლო სიტყვის გაგრძელებაა (ერის||თავ). შემდეგ გაირჩევა **რ** (ე) ასოს ზედა ნაწილი, რომლის მერე, დაზიანებულ მონაკვეთზე, ოთხი ასო დაეტევა. სტრიქონის მარჯვენა ნაწილი კარგად იკითხება, რაც ნაკლები ადგილის აღდგენის საშუალებას გვაძლევს: **ძჯზ|რ|ტ|რსმ|რსმჯ** **ღფზ** : **ძჯ** **ღხჯღჭღ** „თავე[რისთ](ა)ვსთა: ო(ვ)ფ(ა)ლი: თ(ოვეს)ა: ოკდომბე“. ბოლო სიტყვა მომდევნო სტრიქონზე გადადის.

¹¹ თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

სინამდვილეს არ შეეფერება ვ. სილოგავას წავიკითხვა „[ზედა წელ]სა სა[რ]კინოზ-ფასა...“ (ვ. სილოგავა, ქართული ქრონოლოგიური ტერმინოლოგიიდან („ზედა წელი“), „მაცნე“, ენის... სერია, 4, 1974, გვ. 115).

თ. ბარნაველს მერვე სტრიქონის დასაწყისი არა აქვს წაკითხული, სტრიქონის დანარჩენ ნაწილს კი სწორად კითხულობს, ოღონდ, სტრიქონის ბოლო სიტყვასთან Σ (ა) ასოს თავის ადგილზე არ აღადგენს. მერვე სტრიქონის დასაწყისში ვკითხულობთ ახს (რსა) ასოებს. რომელიც მეშვიდე სტრიქონის ბოლო სიტყვას ამთავრებს (ოკდომბე||რსა). სამწუხაროდ, დაზიანებულია ის მონაკვეთი, რომელზეც რიცხვითი მნიშვნელობის ასოები ყოფილა მოთავსებული. ბათქაშზე მკრთალად გაირჩევა ასოს ბუნი, რაც, შესაძლოა, Γ (ი)-დ, ნ ჟ (კ)-ს ზედა ტოტად მივიჩნიოთ. ერთი კი ცხადია, რომ ამ მონაკვეთზე ორი ასო ყოფილა მოთავსებული და ათეულსა და ერთეულს გამოხატავდა. რიცხვის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი წარწერის თარიღის ზუსტად განსაზღვრისათვის. როგორც წარწერა გვაუწყებს, სტეფანოზ მამფალი 738—139 წწ. ოთხშაბათს გარდაცვლილა. რიცხვის ცოდნის შემთხვევაში შევამოწმებდით მოცემული რიცხვი ოთხშაბათზე 738 წელს მოდის თუ 739 წელს.

აღნიშნულის მიუხედავად, მაინც ხერხდება სტეფანოზ მამფალის გარდაცვალების ზუსტი თარიღის განსაზღვრა. საქმე ის არის, რომ ჰიჯრით („სარკინოზთა“) 121 წელი ქრისტიანული წელთაღრიცხვის 738 წლის 18 დეკემბრის ხუთშაბათიდან იწყება და 739 წლის 6 დეკემბრის კვირა დღით მთავრდება¹². აქედან ირკვევა, რომ სტეფანოზ მამფალის გარდაცვალების თვე — ოქტომბერი 739 წელზე მოვიდოდა. ამ წლის ოქტომბრის თვეზე ოთხშაბათი 7, 14, 21, 28 რიცხვებზე ხვდება. იმის გამო, რომ მერვე სტრიქონის ნაკლულ ადგილზე Γ (ი) ასოს მკრთალი მოხაზულობა გაირჩევა, „ოკდომბრისა“-ს შემდეგ ΓD (იდ = 14) რიცხვით ნიშნებს პირობითად აღვადგენთ და სტრიქონს ასე წავიკითხავთ: $\text{ახს } \Gamma : \Gamma \text{ } \text{D} : | \text{ } \text{D}\text{H}\text{G}\text{C} : \text{Q}\text{D}\text{E}\text{H}\text{C}\text{D}\text{C}\text{D}\text{C}\text{C}$ „რსა | : ი : დ : = 14|, დღესა ოთხშაბათსა, ჟამს“. ბოლო სიტყვის ერთი ასო მომდევნო სტრიქონზე გადადის.

მეცხრე სტრიქონის დასაწყისში გაირჩევა ΣHC („ა ლა“) ასოები, რომლის შემდეგ დაზიანებული მონაკვეთია, სადაც ხუთი ასო დაეტევა. პირველი Σ (ა) ასო ამთავრებს მერვე სტრიქონის ბოლო სიტყვას („ჟამს||ა“), ხოლო HC (ლა) ასოები, რომლის შემდეგ არსებული ლაკუნას მერვე Σ (ა) ასო იკითხება, კონტექსტის მიხედვით „ლა[მისასა]ა“ უნდა იყოს. მეცხრე სტრიქონი მთლიანად

¹² В. В. Цибульский II, Современные календари стран Ближнего и Среднего Востока. Синхронические таблицы и пояснения, Москва, 1955, გვ. 28.

ქეები — მიპრი, არჩილი და არჩილ II-ის ქეები — ჯუანშერი და იოანე¹.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ის ქრონოლოგია, რომელიც ადრეფეოდალური ხანის ერისმთავართა თუ მეფეთა ზეობას შეეხება², სანდო არ არის³. ზემოთ აღნიშნული ოთხი ერისმთავრისა თუ მეფის ქრონოლოგიის საკითხებზე მკვლევართა შორის აზრთა სხვაობაა, რაც, უპირატესად, არჩილ II-ის ზეობისა და მისი წამების თარიღის განსაზღვრას შეეხება. მ. ბროსეს მოსაზრებით, არჩილი 727 წელს უნდა ეწამებინათ⁴. მ. საბინინი, ქართლის ცხოვრებაზე მითითებით, არჩილ II-ის წამების თარიღად 744 წელს მიიჩნევს⁵. ივ. ჯავახიშვილი არჩილ II-ის ქრონოლოგიის საკითხს არ ეხება, მაგრამ არჩილის შვილების — ჯუანშერისა და შუშანის ხაზართა ხაკანთან დაკავშირებულ ამბავს და ჯუანშერის ქართლში უკან დაბრუნებას 761—771 წლებით განსაზღვრავს⁶. კ. კეკელიძის მოსაზრებით, არაბთა შემოსევიდან 50 წლის მერე, როგორც ეს მითითებულია არჩილის წამებაში, არაბთა სარდლის მურვან იბნ მუჰამედის ქართლში მოსვლიდან (737) 50 წლის შემდეგ — 787 წელს უნდა ეწამებინათ არჩილ II, არაბთა მხედართმთავრის ჭიჭუმის დროს⁷. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს მ. ლორთქიფანიძეც⁸. ლ. მუსხელიშვილის აზრით, არჩილ II უნდა

¹ ჩვენი ინტერესის სფეროში არ შედიან ის მეფე-ერისმთავრები, რომლებიც 719 წელს ვერ ავიდოდნენ სამეფო ტახტზე. ასეთებია: ადარნასე და მისი ძეები — გურგენი და აშოტ კურაპალატი.

² ვახუშტის მიხედვით, მიპრის ზეობის წლებია — 663—668, არჩილ II — 658—718, იოანესი — 712—786, ხოლო ჯუანშერის — 718—787 (იხ. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 124—127).

³ Г. Н. Чубиновский, Памятники типа Ляварн, Исследование по истории грузинского искусства, Тб., 1948, გვ. 22—25.

⁴ M. Brosset, Introduction, p. L—LII.

⁵ მ. საბინინი, საქართველოს ისტორია, სპბ., 1882, გვ. 332 (შენიშვნა). ქართლის ცხოვრებაში ეს თარიღი არ არის მითითებული. ლეონტი მროველის თხზულებაში, რომელშიც არჩილის წამებაა აღწერილი და მ. ჯანაშვილისეულ ნუსხაში არჩილის წამების თარიღად 718 წელია დასახელებული, ხოლო ბარათაშვილისეულ ნუსხაში — 781 წელი. იხ. „ქართლს ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1, თბ., 1955, გვ. 245—247.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 77, 78.

⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 219.

⁸ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (ვახუშტის სამთავრო VIII-IX საუკუნეებში), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 15—16.

ეწამებინათ 690 წელს, არაბთა პირველი შემოსევიდან (643 წელი) 50 წლის შემდეგ⁹. პ. ინგოროყვა ვრცლად შეეხო არჩილ II მეფობის საკითხს და მისი ზეობა 732—759 წლებით განსაზღვრა¹⁰. გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, არჩილ II-ის მეფობის ხანა VIII საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის¹¹. ამავე ხანის მოღვაწედ მიიჩნევის დ. მუსხელიშვილი არჩილ II და მის ზეობას 705—745 წლებით განსაზღვრავს¹². გ. მამულიას 736—786 წლები მიაჩნია არჩილ II მეფობის დროდ¹³.

რაც შეეხება მიჰრის, იოანესა და ჭუანშერის ზეობის ქრონოლოგიას, ამ მხრივ თითქმის არაფერია გარკვეული. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ივ. ჭავჭავაძის მიერ წყნარდანი ცხოვრების ერთ ეპიზოდს 761—771 წწ. განსაზღვრავს¹⁴. ეს ქრონოლოგია, ცხადია, გულისხმობს ჭუანშერის მამის — არჩილ II-ის 761 წელზე ბევრად ადრე მოღვაწეობის ხანას, მაგრამ ასეთი ქრონოლოგიური მითითება ჩვენთვის საინტერესო საკითხის ამოსავლად ვერ გახდება. წარწერის ნაკლებად ადგილის აღსადგენად საჭიროა ვიცოდეთ რომელი მეფე ავიდა ტახტზე 719 წელს.

2. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლში მეფობის გაუქმების 200 წლის შემდეგ ძველი ქართლის სამეფოს აღადგენს არჩილ II, რომელიც ქართველთა მეფის ტიტულს ატარებდა¹⁵. არსებობს სხვა თვალსაზრისიც: არჩილი კახეთ-ჰერეთის ხელისუფალია, რომელიც, შესაძლოა, გარკვეულ დროს ქართლის ერისმთავარიც ყოფილიყო. არჩილისათვის მეფობა არის უბრალო წოდება; იგი მეფეა იმდენად, რამდენადაც ჩამომავლობით სამეფო გვარიდან არის¹⁶. უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში მიჰ-

⁹ დ. მუსხელიშვილი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, „ენიქის“ მოამბე, თბ., 1943, ტ. XIII, გვ. 95 (შენიშვნა 1).

¹⁰ პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი, „პამბათა მწერალი“ მე-8 საუკუნისა, „ენიქის“ მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 139—149.

¹¹ Г. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии. Тб., 1953, გვ. 29.

¹² დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, ივერია-ალბანეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 94—95.

¹³ გ. მამულია, ფარნაეზიანთა და ბაგრატიონთა სახლთა ურთიერთობა VIII—IX სს. მიჯნაზე, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 67, № 1, თბ., 1972, გვ. 245—247.

¹⁴ ივ. ჭავჭავაძის მიერ, დსახ. ნაშრ., გვ. 77—78.

¹⁵ პ. ინგოროყვა, დსახ. ნაშრ., გვ. 145.

¹⁶ დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 95—99.

რის სამეფო ტიტული („მეფე“) ბრქვალეებშია ჩასმული¹⁷ ან საერთოდ ამ ტიტულის გარეშე მოიხსენიებენ როგორც მიპრს, ისე არჩილს¹⁸. ზოგი მკვლევარი ჯუანშერის თხზულებაზე მიუთითებს, რომელშიც არჩილი და მიპრი მეფეებად არიან დასახელებულნი. აღნიშნულის გათვალისწინებით, არჩილის მიერ გააზნაურებულთ სამეფო აზნაურებად მიიჩნევენ¹⁹.

როგორც ვნახეთ, სპეციალურ ლიტერატურაში ნათლად არ არის გარკვეული VIII საუკუნეში ქართლის მეფეთა ინსტიტუტის არსებობის საკითხი. ატენის სიონის VIII საუკუნის წარწერაში კი „ღმრთივგვირგვინოსანი მეფეა“ დასახელებული. ჩვენი წარწერის ნაკლული ადგილის აღსადგენად საჭიროდ მიგვაჩნია ვიცოდეთ ქართლის, ბიზანტიისა თუ არაბთა ხალიფატის სამეფო ტახტზე რომელი მეფე ადის 719 წელს.

ბიზანტიის კეისართაგან მხოლოდ ლეონ III ისავრიელია, რომელიც VIII საუკუნის 20-იან წლებში ადის სამეფო ტახტზე და 739 წელს, ჩვენი წარწერის შესრულების დროს, კვლავ უპყრია სამეფო ხელისუფლება. ხალიფატში ამ დროისათვის შედარებით რთული მდგომარეობაა, მაგრამ ქრონოლოგიის თვალსაზრისით სრულიად მიუღებელია ამ პერიოდის ხალიფათა ვარაუდი ჩვენი წარწერის ნაკლული ადგილის აღსადგენად.

უმარ იბნ ალ აზიზი 717 წელს ადის სახალიფო ტახტზე, ორი წლით ადრე ჩვენს წარწერაში დასახელებული „ღმრთივგვირგვინოსანის“ გამეფებამდე (719 წ.). გარდა ამისა, უმარი მხოლოდ 720 წლამდე იყო ხალიფად²⁰ და, ცხადია, 739 წელს, როდესაც ჩვენი წარწერა შესრულდა, უმარს ვერ დაასახელებდნენ. იგივე ითქმის იაზიდ II (720—724) შესახებაც²¹. რაც შეეხება ჰიშამს (724—743)²², მისი ზეობის პირველი წელი 5 წლით სცილდება ჩვენს წარწერაში დასახელებულ მეფის ზეობას (719 წ.), რაც მექანიკურად გამორიცხავს ჩვენს წარწერაში მისი სახელის აღდგენის შესაძლებლობას.

რაც შეეხება ლეონ III ისავრიელს, მან 716 წლის 13 აპრილს

¹⁷ გ. მ ა მ უ ლ ი ა, თარგმანთანა და ბაგრატიონთ: სახლთა ურთიერთობა VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, I ტ. 57, თბ., 1972, გვ. 245—247.

¹⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 292, 304.

¹⁹ იქვე, გვ. 18, 315.

²⁰ К. Э. Б о с ъ о р г, Мусульманские династии, М., 1971, გვ. 27.

²¹ იქვე.

²² იქვე.

გამოაცხადა თავი ბიზანტიის იმპერატორად, ხოლო კონსტანტინოპოლის ალების შემდეგ, 717 წლის 25 მარტს, ოფიციალურად აკურთხეს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე²³. როგორც ვნახეთ, ლეონ III ზეობის ოფიციალური (717) და, მით უმეტეს, არაოფიციალური (716) წლები, არ ეთანხმება ატენის სიონის წარწერაში დასახელებული მეფის ზეობის 21-ე (719) წელს, რაც ლეონ III ზეობიდან 736—737 წლებზე მოდის, ნაცვლად ჩვენს წარწერაში აღნიშნული 739 წლისა. ასეთი ანაქრონიზმი, ვფიქრობთ, საფუძველს უნდა გვაძლევდეს უარყოფით ჩვენი წარწერის ნაკლულ ადგილზე ლეონ III ისავრიელის აღდგენის შესაძლებლობა. აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენი წარწერის ნაკლულ ადგილზე ლეონ ისავრიელის აღდგენის საცდური მაინც არსებობს. საქმე ის არის, რომ ჯუანშერის თხზულების მიხედვით, VIII საუკუნეში მიჰრსა და არჩილს სამეფო გვირგვინები უბოძა ბიზანტიის კეისარმა. ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ ეს კეისარი ლეონ III ისავრიელია. ასეთ შემთხვევაში შესაძლოც იყო გვეფიქრა, რომ ატენის სიონის წარწერის შემსრულებელმა მეფის ზეობის ქრონოლოგიაში შეცდომა დაუშვა. აღნიშნული საკითხის გასარკვევად საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად მაინც მიმოვიხილოთ იმ დროის საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობის საკვანძო მომენტები და ვაჩვენოთ, შესაძლებელი იყო თუ არა 739 წელს ჩვენს წარწერაში ლეონ III ყოფილიყო დასახელებული.

3. ლეონ III ისავრიელი ბიზანტიისათვის უკიდურესად მძიმე პერიოდში ავიდა სამეფო ტახტზე. ხალიფათი თავისი ძლიერების მწვერვალზე იყო ასული. კონსტანტინოპოლი არაბთა გარემოცვაში იყო მოქცეული. მასლამა, რომელიც კონსტანტინოპოლის ალყას სარდლობდა, რეალურად ემუქრებოდა ბიზანტიის დედაქალაქს. ასეთ კრიტიკულ სიტუაციას კარგად გაართვა თავი ლეონ III-მ და, როგორც ცნობილია, კონსტანტინოპოლის ალყა არაბთა მარცხით დამთავრდა²⁴. ბუნებრივია, ლეონ III-ის მეფობის წარმატებით დაწყებას და მრისხანე მტრის დამარცხებას გარკვეული რეზონანსი უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით კი ქრისტიანულ სამყაროში.

ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ჯუანშერის წყაროს იმ ცნობას, რომელიც ლეონ III ისავრიელის ზეობის საწყისი პერიოდის ბიზანტიისა და ეგრის-აფხაზეთის პოლიტიკური ურთიერთობის სურათს გვიხატავს, რეალური ისტორიული საფუძველი ჰქონდა,

²³ История Византии, 2, М., 1967, гл. 47—48

²⁴ იქვე, გვ. 49, 50.

მაგრამ ეს არის ერთი მონაკვეთი ლეონ III-ის ხანგრძლივი მეფობიდან. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ლეონ III მეფობის ბოლო წლებში, ყოველ შემთხვევაში 739 წლის ახლო ხანებში მაინც, როცა ჩვენი წარწერა შეუსრულებიათ, როგორი ურთიერთობაა საქართველოსა და ბიზანტიას შორის.

როგორც ცნობილია, ლეონ III ისაერიელთან არის დაკავშირებული ხატმებრძოლობა. 730 წლის 17 იანვარს სინკლიტის სხდომის მონაწილეთ ლეონ III-მ წინადადება მისცა ხატმებრძოლობის ედიქტზე მოეწერათ ხელი. პატრიარქმა გერმანმა ედიქტის წინააღმდეგ გაილაშქრა, რის გამოც იგი ლეონ III-მ ხატმებრძოლი ანასტასით შეცვალა. ამ საეკლესიო რეფორმამ დიდი მღელვარება გამოიწვია კონსტანტინოპოლის უმაღლეს ფენებში, რასაც ლეონმა მკაცრი ღონისძიება დაუპირისპირა. დაიწყო ხატის თაყვანისმცემელთა დარბევა და დასჯა. ასეთი რეპრესიების მიუხედავად, ბიზანტიაში ხატის თაყვანისმცემელთა მძლავრი კერა წარმოიქმნა.

ბიზანტიის გარდა, ხატის თაყვანისმცემელთა მეორე კერა იყო დამასკო. არაბთა ხალიფატი ყოველგვარ ანტიხატმებრძოლურ წამოწყებას მხარს უბამდა, რაც, ცხადია, ბიზანტიასთან დაპირისპირებას ისახავდა მიზნად. მესამე ასეთ ცენტრს რომი წარმოადგენდა²⁵.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისით, საქართველოს ხატმებრძოლობის ტალღა არ შეხებია. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, „რომის ეკლესიასავით საქართველოს ეკლესიაც ხატების მებრძოლთა წინააღმდეგი ყოფილა და აღმოსავლეთში მაშინ თითქმის ერთად-ერთი ეკლესია იყო, რომელიც ძველს წესს იცავდა და ხატების თაყვანისცემა არ უარუყვია“²⁶.

იმ დროის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გასარკვევად არანაკლებ საყურადღებოდ მოჩანს ის ფაქტი, რომ ხატმებრძოლთა წინააღმდეგი გუთელი ეპისკოპოსი იოანე, რომელსაც კონსტანტინოპოლში უნდა მიედო კურთხევა, საქართველოში ჩამოდის და მცხეთის კათალიკოსისაგან იღებს ხელდასხმას. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ხატმებრძოლობის დროს „იმ საეპისკოპოსო სამწყსოებს, რომელნიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს არ ეთანხმებოდნენ და ხატებს თაყვანსა სცემდნენ, უნებლიედ ან ახალ ეპისკოპოსთა

²⁵ История Византии, 2, გვ. 53—54.

²⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 118 (ხაზი ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს).

ბიზანტიაში ხელდასხმაზე უნდა უარი ეთქვათ, ან არა და იერარქიულად საბერძნეთს უნდა ჩამოჰშორებოდნენ და თავიანთის საეპისკოპოზოდ არჩეული იქ გაეგზავნათ, სადაც ეკლესიაში ხატების მებრძოლნი არ იყვნენ გაბატონებულნი. სწორედ ასედაც მოქცეულან გუთები, რომელთაც ეპისკოპოსი იოანე ჯერ საბერძნეთში წასული, იძულებული იყო უკუერთხებელი გამობრუნებულიყო; მერე იგი იბერიაში ანუ საქართველოში წასულა და აქ კათალიკოზისაგან მიუღია ხელდასხმა; ამას მოგვითხრობს თვით იოანე გუთელ ეპისკოპოსის ბერძნული ცხორებავე“²⁷.

საყურადღებოა, რომ გუთელთა ეპისკოპოსი იოანე, რომელმაც ხატმებრძოლთაგან ხელდასხმაზე უარი თქვა და ქართლს მიაშურა, ლეონ III ისავრიელის (717 — 741) თანამედროვეა²⁸.

როგორც ცნობილია, საეკლესიო რეფორმა — ხატმებრძოლეობა, უშუალოდ ლეონ III ისავრიელის ინიციატივითა და ძალდატანებით განხორციელდა²⁹. ზემოთ ვნახეთ, რომ ხატმებრძოლეობის პერიოდში ქართლი მკვეთრად უპირისპირდება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, რაც მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ ლეონ III, კონფესიონალური თვალსაზრისით, მიუღებელი უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკლესიისათვის.

რაც შეეხება პოლიტიკურ თვალსაზრისს, ამ მხრივ, უდავოდ, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი წარწერის შესრულების დროს (739 წ.) კავკასიის მმართველია მურვან ყრუ (735—744), „რომელმაც არაბთა ხელისუფლებას დაუქვემდებარა მთელი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კავკასია“³⁰.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს უარეყოთ ჩვენი წარწერის ნაკლულ ადგილზე ლეონ III ისავრიელის აღდგენის შესაძლებლობა. მით უმეტეს, რომ ლეონ III 717 წელს ადის სამეფო ტახტზე, ხოლო ჩვენს წარწერაში დასახელებული ღმრთივგვირგვინოსანი 719 წელს გამეფებულა. როგორც ჩანს, წარწერაში ქართველი მეფე იგულისხმება. ასეთი ვარაუდი მით უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, როცა ვითვალისწინებთ ჩვენი წარწერის ორ ქრონოლოგიურ მითითებას, სადაც ჯერ ადგილობრივი მეფის ზეობა უნდა იყოს მოტანილი („მეფისა ჩუენისასა“), ხოლო შემდეგ — სარკინოზ-

²⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 118, 119.

²⁸ იქვე, გვ. 119.

²⁹ История Византии, 2, გვ. 49—64.

³⁰ ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 375.

თა. ძნელად სარწმუნოა, რომ მურვან ყრუს ქართლში მძვინვარების დროს პირველ რიგში ბიზანტიელი კეისარი დაესახელებინათ და მისთვის ჩვენი მეფეც ეწოდებინათ.

4. იმ საკითხის გასარკვევად, თუ რომელი ქართველი მეფეა დასახელებული ჩვენს წარწერაში, ერთადერთ რეალურ გზად გვესახება თუნდაც მიახლოებით დავადგინოთ მიჰრისა და არჩილ II-ის მამის — სტეფანოზ II-ის გარდაცვალების წელი. ეს ქრონოლოგია საშუალებას მოგვცემდა სტეფანოზ II-ის უფროსი ძის, მიჰრის საერისმთავრო თუ სამეფო ტახტზე ასვლის წელი განგვესაზღვრა.

ჩვენი არჩევანი სტეფანოზ II-ზე შევაჩერეთ, რადგან მისი საერისმთავრო ტახტზე ასვლის წელი მიახლოებით მაინც არის განსაზღვრული სამეცნიერო ლიტერატურაში (634/35 წწ.)³¹.

ჯუანშერის თხზულების ის ნაწილი, რომელიც სტეფანოზ II-ის ერისმთავრობას შეეხება, მხოლოდ ზოგად ქრონოლოგიურ მითითებას შეიცავს³², რაც საგრძნობლად ართულებს სტეფანოზ II-ის გარდაცვალების თარიღის განსაზღვრას; ამ საკითხის გასარკვევად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ქრონოლოგიის თვალსაზრისით თავის ადგილზეა თუ არა ის ჩანართი, რომელიც მხოლოდ ბროსეს, ბარათაშვილისა და ფალავანდიშვილისეულ ნუსხებშია დაცული და, როგორც ჩანს, ეფრემ მცირის „უწყებიდან“ მომდინარეობს³³. ჩანართი შემდეგს გვაუწყებს: „მოკუდა კათალიკოსი თაბორ და დასუეს კათალიკოსად სამოელ. ამისა შემდგომად გარდაცდეს რაოდენიმე წელნი. ქრისტეს აქეთ ქ'ნე იქმნა კრება მეექუსე, რ'ო წმიდათა მამათა კოსტანტინეპოლის შინა, მეათსამეტესა წელსა პოლონატი კოსტანტინეს მეფობისასა“³⁴. ამ ქრონოლოგიურ მითითებაში შეუსაბამობაა. თუ კონსტანტინე პოლონატის (668—685) ზეობის მეცა-

³¹ Г. Н. Ч у б н и а ш в и л и, დასახ. ნაშრ., გვ. 22, 23; ივ. ჟ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 282—291.

³² ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 228—233.

³³ ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 231, შენ. 2.

³⁴ იქვე, გვ. 231, 232.

მეტე წელი 680 წელზე მოდის, რაც რეალურად ასახავს VI მსოფლიო საეკლესიო კრების თარიღს (680—681 წწ.), გადამწერის შეცდომა უნდა იყოს პირველი ქრონოლოგიური მითითება („ქრისტეს აქეთ ქ'ნე“ = 656 წელს).

ჩვენთვის ეს ჩანართი იმით არის საყურადღებო, რომ „მეცნიერ კაცთა“ კომისიას ეს ადგილი VI მსოფლიო საეკლესიო კრების (680—681) შემდეგ ჩაურთავს, რის შემდეგ ჯუანშერი მოგვითხრობს სტეფანოზ II-ს და მისი ძეების მიპრისა და არჩილის შესახებ. თუ ზემოაღნიშნული ჩანართი თავის ადგილზეა, მაშინ გამოდის, რომ სტეფანოზ II 680—681 წლებში ჯერ კიდევ ქართლის ერისმთავარია. ვფიქრობთ, ამის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს ჩანართის დასაწყისი: „მოკუდა კათალიკოსი თაბორ და დასუეს კათალიკოსად სამოელ“. ამ ცნობის შემდეგ მოთხრობილია VI მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ, რომელიც სამოელის კათალიკოსად კურთხევის შემდეგ მომხდარა („ამისა შემდგომად გარდაცდეს რაოდენიმე წელნი“)³⁵.

ჩანართი ქრონოლოგიურად თავის ადგილზე რომ ჩაურთავს „მეცნიერ კაცთა“ კომისიას, იმითაც ვრწმუნდებით, რომ სამოელ კათალიკოსი, რომელიც თაბორის გარდაცვალების შემდეგ აკურთხეს, სტეფანოზ II დროის მოღვაწეა. ამაზე მიუთითებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა, რომლის მიხედვით სტეფანოზ II-ის დროს „კათალიკოზი იყო სამოელ და მისა ზევე ევნონ“³⁶. ამავეს გვაუწყებს სუმბატ დავითის ძე, რომელიც ქართლის მოქცევის ცნობას ითვალისწინებს: „... მთავრობდა ადარნასე... და მის ზედა სამნი კათალიკოსნი იცვალნეს: იოვანე, ბაბილა და თაბორ. და ამისა შემდგომად მოკუდა ადარნასე მთავარი და მის წილ დაჯდა სტეფანოზ, ძე მისი... და კათალიკოსი იყო სამოელ და ენონ“³⁷. ეს გარემოება გვარწმუნებს, რომ ჯუანშერის თხზულებაში არსებული ჩანართი ქრონოლოგიის თვალსაზრისით თავის ადგილზე ჩაურთავს „სწავლულ კაცთა“ კომისიას და, როგორც ჩანს, VI მსოფლიო საეკლესიო კრების დროს — 680—681 წლებში, სტეფანოზ II ქართლის ერისმთავარია. ეს ვარაუდი უფრო

³⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 231, 232.

³⁶ მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედქციით, თბ., 1963, გვ. 97.

³⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 375. აქაც და შემდეგშიც ხაზი უვლეგან ჩვენია (გ. ა.)

რეალურად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ ქართული ნარატიული წყაროების ჩვენებას, რომლის მიხედვით სტეფანოზ II-ის ერისმთავრობაში, სამოელის შემდეგ კათალიკოსი ყოფილა ევნონი (ენონ), ხოლო VI მსოფლიოს საეკლესიო კრების დროს, როგორც ზემოთ ვნახეთ, სამოელი ჩანს კათალიკოსად, რომლის შემდეგ, სტეფანოზ II-ის ერისმთავრობაშივე, ევნონი უკურთხებიან ქართლის კათალიკოსად.

III

„ხოლო სტეფანოზს ესხნეს ორნი ძენი არჩილ და მიპრ. და განუყო ყოველი ხუასტაგი სამეფოსა მისისა, საგანძური ოქროსა და ვეცხლისა და თუალთა პატიოსანთა: და ნახევარი წარილო ქუეყანასა ეგრისსა და წარიყვანა ძე თუსი პირმშო მიპრ; და ნახევარი საქონელისა მისისა მისცა არჩილს, უმრწემესსა ძესა თუსსა“¹. ამას გვაუწყებს ჟუანშერი სტეფანოზ II-ისა და მისი ძეების შესახებ იმ ჩანართის შემდეგ, რომელშიც სამოელის კათალიკოსად კურთხევასა და VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზეა მოთხრობილი.

1. კარგა ხანია მკვლევართა ყურადღება მიიქცია ქართული ნარატიული წყაროების მითითებამ გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური მთლიანობის შესახებ². ეს თვალსაზრისი უფრო რელიეფურად გამოიხატა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში³.

ჯუანშერის ზემოთ მოტანილი ცნობით, ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური მთლიანობის შთაბეჭდილება იქმნება, მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარება გვარწმუნებს, რომ სტეფანოზ II-ის და მისი უფროსი ძის — მიპრის ეგრისში გადასვლა, ხოლო ქართლში „უმრწემესი“ ძის — არჩილის დატოვება, გარკვეული შინაპოლიტიკური სიტუაციის გართულებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ასეთ შთაბეჭდილებას ქმნის ჟუანშერის ის ცნობა, რომლის მიხედვით არჩილმა ქართლსა და კახეთში დაჰფლა თუ არა საგანძური, „შემდგომად მცირედთა ეამთა შევიდა არჩილცა ეგრადვე“⁴. საკითხავია, რაღა აზრი ჰქონდა არჩილის ქართლში დატოვებას, თუ

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 232.

² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 301—302.

³ ეპისტოლეთა წიგნ., სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლეულია და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 173, 181—186.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 233.

კოტა ხნის მერე მამისა და ძმის კვალს გამოედევნებოდა და ისიც ეგრისში ჩავიდოდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არჩილმა ეგრისში რამდენიმე ათეული წელი დაჰყო, როგორც ამას გვაუწყებს ჭუანშერი, მაშინ გაუგებარი უნდა იყოს ვის დაუტოვა არჩილმა ქართლი და კახეთი.

არჩილი იძულებით რომ წასულა ქართლიდან, იქიდანაც ჩანს, რომ ძმებმა ეგრისში გარდაცვლილი მამის — სტეფანოზ II-ის ცხედარიც კი ვერ ჩამოასვენეს საგვარეულო სამარხში — მცხეთას და, როგორც ჩანს, იმ დროისათვის არც მიჰრსა და არც არჩილს ქართლზე ხელი არ „ეწიფებოდათ“. „მამაცა ჩუენი მოკუდა შფოთსა ამას შინა და ვერ წარვეცი თ იგი მცხეთას, წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ საყდარსა ქუთათისსა“⁵, მიმართავს მიჰრი არჩილს. მიჰრის გარდაცვალების ახლო ხანებში, როგორც ჩანს, შიდაპოლიტიკური ვითარება შეცვლილა და ეგრისში გარდაცვლილი მიჰრი „წარმოსცეს მცხეთას, და დაფლეს ზემოსა ეკლესიასა“⁶. ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ არჩილი ქართლიდან ეგრისში იძულებით გადასულა ჩვენთვის უცნობი ვითარების გამო.

2. სომეხი ისტორიკოსის — ლევონდის ცნობით, აბდ-ალ-მალიქის (685—705) მეფობაში, ხალიფატში ამტყდარი შინაური შფოთისდროს, სომხებმა, ქართველებმა და ალვანელებმა ოცდაათი წლის მორჩილების შემდეგ უარი თქვეს არაბებისათვის ხარკის ძლევაზე. კავკასიის ხალხთა ეს განდგომა 686 წელს, აბდ-ალ-მალიქის ზეობის მეორე წელს, მომხდარა და სამ წელიწადს გაგრძელებულა, ვიდრე 689 წლამდე.

X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, ქართლის ერისმთავარმა ნერსე მ სომხეთში მდგარი არაბთა ჯარის სარდალი ვინმე ბარაბა სასტიკად დაამარცხა და არაბთა ჯარი სომხეთიდან განდევნა. Marquart-ის მითითებით, ეს ნერსე მოხსენიებულია VII საუკუნის 70-იანი წლების დამლევისათვის სოკრატეს საეკლესიო ისტორიის სომხური თარგმანის წინასიტყვაობაში.

ამ ცნობების მიხედვით სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ 686 წელს ქართლის ერისმთავარი იყო ნერსე, არაბების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხების აჯანყების მეთაური⁷. ჩვენთვის

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241.

⁶ იქვე.

⁷ აქრის შესახებ იხ. ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 366—368; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა... საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 115, 116.

ის არის საყურადღებო, რომ 636 წელს ქართლის ერისმთავრად დასახელებულია ნერსე, რომელიც სტეფანოზ II-ის საგვარეულო სახლს არ ეკუთვნის. იქნებ ამით აიხსნას არჩილ II-ის ქართლიდან ეგრისში ნაუცბათევი გადასვლა („შემდგომთა მცირედთა ჟამთა“). შესაძლოა, ქართლში ატეხილ ამ შფოთს გულისხმობს ის ცნობა, მიჰრი რომ მიმართავს არჩილს:—„...მამაცა ჩუენი მოკუდა შფოთსა ამას შინა და ვერ წარვეცი თიგი მცხეთას“⁸.

ზემოთ ვაჩვენეთ, რომ სტეფანოზ II 680-681 წლებში ჯერ კიდევ ქართლის ერისმთავარია და ქართლიდან მისი გადასვლა ეგრისში ამ წლების მახლობელ ხანაში მომხდარი ფაქტია. ყოველ შემთხვევაში, ნერსეს მიერ ქართლის დაპყრობა და არჩილის ეგრისში წასვლა სავარაუდოა 682-686 წლებით განისაზღვროს. ჯუანშერის მიხედვით, სტეფანოზ II ეგრისში გადასვლის მერე ჩქარა უნდა გარდაცვლილიყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი უფროსი ძე—მიჰრი 719 წელზე გაცილებით ადრე ასულა სამეფო თუ საერისმთავრო ტახტზე. აღნიშნული გარემოება მექანიკურად გამორიცხავს ჩვენი წარწერის ნაკლულ ადგილზე მიჰრის აღდგენის შესაძლებლობას.

IV

არჩილ II-ის ზეობის ქრონოლოგიის დასადგენად საჭიროა გავარკვიოთ მიჰრის გარდაცვალების წელი. ამ მხრივ საქმეს ართულებს ნარატიულ წყაროებში მიჰრისა და არჩილის ერისმთავრობასა თუ მეფობასთან დაკავშირებული ანაქრონიზმები. ჯუანშერის წყაროს¹ მიხედვით, მიჰრის ზეობის დასაწყისში „მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა მურვან ყრუ“². თუ მისაღებია ის თვალსაზრისი, რომ VII საუკუნის 80-იანი წლების მერე გარდაიცვალა სტეფანოზ II და ამავე ხანაში ავიდა სამეფო თუ საერისმთავრო ტახტზე მიჰრი, შეუძლებელია ამ დროისათვის დაელაშქრა ეგრისი მურვან ყრუს. ცნობილია, რომ მურვანმა 735—736 წლებში დალაშქრა ქართლი, ხოლო 743—744 წწ. ქართლიდან საბოლოოდ წავიდა სირიაში, სადაც მას სახალიფო ტახტი ელოდა.

⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241.

¹ ჯუანშერის პირველწყაროს შესახებ იხ. პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი..., „ენიმკის“ მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 143. ის თვალსაზრისი, რომ ჯუანშერის თხზულებაში ანონიმის ექსცერპტებია ჩართული, გაზიარებულია სამეცნიერო ჟურნალებში. იხ. ნ. ბერძენიშვილი, „მომომხილველი“, III, გვ. 66; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 86; თ. პაპუაშვილი, ქერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 46—48.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 233.

ივ. ჭავჭავაძის დაკვირვებით, ჭუანჭუჭყლის მურვან ყრუს ლაშქრობა საქართველოში არაბთა პირველ შემოსევადაც წარმოდგენილი. მკვლევარი ექვის ქვეშაც კი აყენებს ჭუანჭუჭყლის წყაროს ცნობას მურვან ყრუს მიერ ეგრისისა და აფხაზეთის დალაშქერის შესახებ, რადგან „არც არაბ, არც სომეხ, არც ბიზანტიელ ისტორიკოსებს მურვანის ლაშქრობის შესახებ დასავლეთ საქართველოში, ეგრისსა და აფხაზეთში, არაფერი აქვთ ნათქვამი“. ივ. ჭავჭავაძის აზრით, ეს ცნობა „თავისთავად-კი ისეთს არაფერს შეიცავს, რაც ან დასაჯერებელი არ იყოს, ან მტკნარს შეცდომას წარმოადგენდეს“³.

ს. ჭანაშიას აღნიშვნით, „არაფერს ამბობენ უცხო წყაროები მურვანის ლაშქრობის შესახებ დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ქართველი მემკვიდრის ცნობა სანდო შთაბეჭდილებას ახდენს“⁴.

1. ჭუანჭუჭყლის წყაროს ცნობით, მურვან ყრუს მიერ ეგრისისა და აფხაზეთის დალაშქერის დროს „კათალიკოსი იყო თაბორ“⁵. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“⁶, სუმბატ დავითის ძე⁷ და ჭუანჭუჭყლის⁸ კი ერთხმად აღნიშნავენ, რომ თაბორი ადარნასე I-ის (604/5 — 634/35) ერისმთავრობაში იყო ქართლის კათალიკოსი, რაც მურვან ყრუს ქართლში შემოსევის (735/36 წწ.) ქრონოლოგიურ მითითებად არ გამოდგება. ვფიქრობთ, ეგრისისა და აფხაზეთის ეს დალაშქერა მთლიანად არ უნდა ასახავდეს მურვან ყრუს ექსპედიციას და, შესაძლოა, აქ ორი ან მეტი შემოსევის ცნობა იყოს ერთმანეთში არეული. ასეთი დაეჭვების საფუძველს გვაძლევს არგვეთელი მთავრების — დავითისა და კოსტანტინეს ცხოვრების ცნობა მურვან ყრუს მიერ კონსტანტინოპოლის ალყაში მონაწილეობასა და ქალკედონში მის უეცარ გარდაცვალებაზე⁹, რაც „სწავლულ კაცთა“ კომისიას ჭუანჭუჭყლის თხზულებაშიც შეუტანია¹⁰. ცნობილია, რომ მურვან ყრუს არ მიუღია მონაწილეობა კონსტანტინოპოლის არცერთ ალყაში და არც ქალკედონში გარდაცვლილა. მურვანი 744—750 წლებში სირიის სახალიფოს განაგებდა და იქვე გარდაიცვალა¹¹.

³ ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 77.

⁴ ს. ჭანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 375.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235.

⁶ ძეგლები, I, გვ. 96.

⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 375.

⁸ იქვე, გვ. 228.

⁹ ძეგლები, III, გვ. 248, 265.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 239.

¹¹ A. M ю л л е р, История ислама, 2, СПб, 1895, გვ. 135—139.

ჯუანშერის წყაროში ასახული მურვან ყრუს მიერ ეგრისისა და აფხაზეთის დარბევის თარიღის გარკვევა ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ მიჰრი ამ ბრძოლის მერე ჩქარა გარდაცვლილა. ეს კი არჩილ II-ის გამეფების თარიღის დადგენაში დაგვეხმარებოდა. დავით და კონსტანტინეს ცხოვრების ცნობით, მურვანმა ეგრისსა და აფხაზეთში მარცხი რომ განიცადა, გურიისა და სპერის გავლით, ქალკედონში დაბანაკდა კონსტანტინოპოლის ალყისათვის¹². ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „მეცნიერ კაცთა“ კომისიას „ცხოვრების“ ეს ნაწილი ჯუანშერის თხზულებაში ჩაურთავს. მთელ ამ ამბავში ეს არის ერთადერთი ქრონოლოგიური მითითება, რომლის გათვალისწინებით შევეცდებით განვსაზღვროთ მურვანის მიერ დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის თარიღი.

2. არაბთაგან კონსტანტინოპოლისათვის ბრძოლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. არაბების მიერ კონსტანტინოპოლის აღების ორივეცადა უშედეგოდ დამთავრდა. პირველმა ალყამ, მოავია I-ის (661—680) დროს, 7 წელს გასტანა (672—679). კონსტანტინოპოლის ამ ალყას ხელმძღვანელობდა მოავიას შვილი იეზიდი, ხოლო არაბთა ქვეითი ჯარის სარდალი სუფიან-იბნ აუფი ყოფილა, რომელიც ქალკედონში დაბანაკებულა¹³.

„დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში“ აღწერილი კონსტანტინოპოლის ალყა შეუძლებელია 672—679 წლების სამხედრო ოპერაციად მივიჩნიოთ, რადგან დროის ეს მონაკვეთი ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ II-ის ზეობაზე მოდის (634/35—681/82). ჯუანშერის მიხედვით კი, ამ დროისათვის სტეფანოზ II გარდაცვლილია და მურვანი ანაკოფიის ციხესთან მიჰრსა და არჩილს ებრძვის¹⁴.

კონსტანტინოპოლის მეორე ალყას მასლამა ხელმძღვანელობდა 716—717 წლებში¹⁵. ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 717 წლის გაზაფხულზე მასლამას ალყა დიდძალი ქვეითი არმიით გაუძლიერებიათ, ხოლო ბოსფორში იმავე წელს ძლიერი ფლოტი გაუგზავნიათ¹⁶.

¹² ძეგლები, III, გვ. 259.

¹³ Ф. Успенский, История Византийской империи, гв. 869—871.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 236—239.

¹⁵ არაბული წყაროები ერთი წლით ადრე დებენ კონსტანტინოპოლის ალყის თარიღს (716 წ.). ა. მიულერის მოსაზრებით, ბიზანტიური წყაროების ცნობა უფრო სანდო უნდა იყოს, რომელიც ამ ალყას 717 წლით ათარიღებს. იხ. А. Мюллер, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

¹⁶ А. Мюллер, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

იმ საკითხის გასარკვევად, თუ როგორ შეიძლებოდა გაჩენილიყო „დავით და კოსტანტინეს ცხორებაში“ და, შესაბამისად, ჯუანშერის თხზულებაში მურვან ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებული ანაქრონიზმები, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არაბი და სომეხი ისტორიკოსების — ტაბარისა და ლევონდის ცნობები. საყურადღებოა, რომ VII საუკუნის მიწურულსა და VIII საუკუნის დასაწყისში ხალიფა აბდ ალ მალიქის (685—705) ძმა — მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ მ უ რ ვ ა ნ ი ჩანს კავკასიის საამიროს განმგებლად, რომელმაც 695 წლიდან განაახლა სომხეთის დარბევა¹⁷.

ტაბარის ცნობით, მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ მ უ რ ვ ა ნ მ ა 708—709 წწ. დარუბანდი აიღო¹⁸. ლევონდის მიხედვით, მასლამა დარუბანდიდან შეიჭრა ჰუნების ქვეყანაში, მოაოხრა იგი და ქალაქ ტარუკამდე მივიდა. სომეხი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ჰუნების თხოვნით ხაზარების დიდი არმია წამოსულა ჰუნების დასახმარებლად. მასლამა მიხვდა, რომ დამარცხება გარდაუვალი იყო და, ლევონდის ცნობით, არაბთა სარდალმა მიატოვა თავისი ბანაკი, მთელი ავლა-დიდება და ი ბ ე რ ი ა შ ი გადავიდა¹⁹. როგორც ლევონდი, ისე მეორე სომეხი ისტორიკოსი — მოსე კალანკატუელი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს ამბავი 716—717 წლებში მომხდარა²⁰.

მართებულად მიგვაჩნია მ. არტამანოვის ის თვალსაზრისი, რომ მასლამა 716—717 წლებში ვერაფრით ვერ შეძლებდა ჰუნებთან და ხაზარებთან შებრძოლებას, რადგან არაბული და ბიზანტიური წყაროების ცნობით, იგი სწორედ 716—717 წლებში ხელმძღვანელობდა კონსტანტინოპოლის ალყის ოპერაციას²¹. მაგრამ სომეხი ისტორიკოსები ისე დამაჯერებლად აღწერენ მასლამას მიერ ხაზარებისა და ჰუნებისაგან თავის გამორიდებასა და იბერიაში გადმოსვლას, რომ თვითონ ფაქტის რეალურობაში ძნელია ეჭვი შევიტანოთ. ასევე ითქმის „დავით და კოსტანტინეს ცხორების“ იმ ცნობაზეც, რომელიც მურვან ყრუს მიერ ეგრიისისა და აფხაზეთის დალაშქვრასა და კონსტანტინოპოლის ალყაზე მოგვითხრობს²².

¹⁷ А. Мюллер, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 91.

¹⁸ Табар, II, გვ. 1217.

¹⁹ История халифов вардапета Гевонды, писателя VIII века. Перевод с армянского К. Патканьян, СПб. 1862, гл. 28.

²⁰ История агван Монсея Каганкатваци, писателя X века. Перевод с армянского К. Патканьян, СПб, 1861, гл. 263.

²¹ М. И. Артамонов, *История Хазар*, Ленинград, 1962, гл. 205.

²² ძეგლები, III, გვ. 259.

სომეხი ისტორიკოსების ცნობა მასლამას ლაშქრობის შესახებ შესაძლოა 706—707 წწ. მასლამას მიერ დარუბანდის მახლობელი სოფლების დარბევას გულისხმობს, მაგრამ არაბი ისტორიკოსი, ტაბარი, რომელიც ამ ცნობას გვაწვდის, არაფერს ამბობს მასლამას მიერ მტრისაგან თავის გარიდებაზე²³, რაც მეტად საეჭვოს ხდის ასეთ ვარაუდს.

საყურადღებოდ მიგვაჩნია არაბი ისტორიკოსის — ბალადორის ცნობა, რომ 732—733 წწ., როდესაც მასლამამ ხაზარების წინააღმდეგ გაილაშქრა, არაბ სარდალს თან ახლდა მ უ რ ვ ა ნ ი ბ ნ მ უ ჰ ა მ ე დ ი²⁴, რომელიც მურვან ყრუს სახელითაა ცნობილი ქართულ ნარატიულ წყაროებში. არაბი ისტორიკოსების ცნობით, მურვანმა თავი გამოიჩინა ამ ბრძოლაში თავისი სისასტიკითა და შეუპოვრობით²⁵.

ეჭვს გარეშეა, სომეხი ისტორიკოსების ზემოთ მოტანილი ცნობა მასლამას ამ ლაშქრობას არ ასახავს, რადგან ეს ბრძოლა მასლამას გამარჯვებით დამთავრებულა²⁶ და არა მისი გაქცევით, როგორც ამას დეტალურად აღწერენ სომეხი ისტორიკოსები.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე დავასკვნით, რომ 716—717 წწ. ჰუნებისა და ხაზარების წინააღმდეგ ბრძოლაში მასლამა ვერ მიიღებდა მონაწილეობას და სომეხი ისტორიკოსების — ლევონდისა და მოსე კალანკატუელის ცნობა სხვა არაბ სარდალს გულისხმობს, რომელიც შეცდომით მასლამად ჰყავთ დასახელებული. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ დროისათვის კავკასიის საამიროს მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ მ უ რ ვ ა ნ ი განაგებს, და არა მისი ძე — მ უ რ ვ ა ნ ი ბ ნ მ უ ჰ ა მ ე დ ი (ყრუ)²⁷, რომელიც ქართულ წყაროებში ეგრის-აფხაზეთის დამსჯელი ექსპედიციის ხელმძღვანელად არის მიჩნეული. აღნიშნული გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სომეხი ისტორიკოსების მიერ აღწერილ 716—717 წლების შეტაკებაში მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ მ უ რ ვ ა ნ ი უნდა ყოფილიყო არაბთა სარდალი, რომელიც ჰუნებთან და ხაზარებთან შებმას მოერიდა და იბერიაში გადმოსულა. სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას, თუ როგორ უნდა მიეღო მონაწილეობა მასლამას

²³ Табар, II, გვ. 1217.

²⁴ Баладори, Книга завоевания стран, перевод П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 17, 18.

²⁵ М. II. Артамонов, დასახ. ნაშრ., გვ. 216—217.

²⁶ იქვე, გვ. 217.

²⁷ Л. Мюллер, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

716—717 წწ. ხაზარებისა და ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ, როცა უტყუარი ცნობის საფუძველზე, მასლამა ამ წლებში კონსტანტინოპოლის ალყას ხელმძღვანელობს და როგორც ზღვით, ისე ხმელეთით დამხმარე ლაშქარს ელის.

საყურადღებოდ მიგვაჩნია სომეხი ისტორიკოსების ცნობა, რომ 716—717 წლებში ჰუნებთან და ხაზარებთან ბრძოლას გამორიღებული არაბთა ლაშქარი იბერიაში გადმოსულა. ისიც საგულისხმოა, რომ მურვან ყრუ, ჯუანშერის წყაროს და „დავით და კონსტანტინეს ცხოვრების“ ჩვენებით, ეგრის-აფხაზეთის დალაშქვრის შემდეგ კონსტანტინოპოლის ალყის სამხედრო ოპერაციაში იღებს მონაწილეობას, სადაც გარდაიცვალა კიდევც. ცხადია, ქრონოლოგიისა და ისტორიული ვითარების თვალსაზრისით ჯუანშერის წყაროში დასახელებული მურვანი შეუძლებელია მურვან ყრუდ მივიჩნიოთ. თუ ამ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ არც არაბულსა და არც ბიზანტიურ წყაროებში არაფერია თქმული მურვან ყრუს მიერ დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის შესახებ, ვფიქრობთ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ჯუანშერის წყაროში მოთხრობილი ეს ექსპედიცია. მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ მ უ რ ვ ა ნ ს უ ნ და შეეხებოდეს, რომელიც იმ ხანებში იყო კავკასიის საამიროს მმართველი, და არა მის ძეს—მ უ რ ვ ა ნ ი ბ ნ მ უ ჰ ა მ ე დ ს. სხვაგვარად აუხსნელი დარჩება, თუ როგორ უნდა გარდაცვლილიყო მურვან ყრუ კონსტანტინოპოლის ალყის დროს, 717 წელს, როდესაც კარგადაა ცნობილი, რომ იგი სირიაში მოჰკლეს 750 წელს²⁸. ჯუანშერის წყაროში აღწერილი ანაკოფიის ბრძოლის ის ერთადერთი ქრონოლოგიური მითითება, რომელიც არაბთაგან კონსტანტინოპოლის ალყას ასახელებს, ეჭვგარეშეა, 716—718 წლების სამხედრო ოპერაციას გულისხმობს. ზემოთ ვნახეთ, რომ ხაზარებისა და ჰუნების ბრძოლიდან თავგამორიღებული არაბთა ლაშქარი 716—717 წლებში იბერიაში გადმოდის. ისიც ვიცით, რომ ე. წ. მურვან ყრუ ანაკოფიის ბრძოლაში მარცხდება, რაც 717 წელს უნდა მომხდარიყო, რადგან კონსტანტინოპოლის ალყის ოპერაცია 718 წლის 15 აგვისტოს დამთავრდა არაბთა დამარცხებით.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ არაბული, სომხური და ქართული ნარატიული წყაროების ცნობები ერთ ფოკუსში იყრის თავს და კონსტანტინოპოლის ალყისათვის დამხმარე ქვეითი ჯ ა ა ი ბ მ ა რ შ რ უ ტ ს გ ვ ი ჩ ვ ე ნ ე ბ ს. თუ ეს თვალსაზრისი

²⁸ М. И. Артамонов, დასახ. ნაშრ., გვ. 231.

მისაღებია, მაშინ „დავით და კოსტანტინეს ცხორებაში“ და ჯუან-შერთან დასახელებული მურვანი (მურვან იბნ მუჰამედი) მის მამად — მუჰამედ იბნ მურვანად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც გადამწერს შეეძლო შეცდომით მისთვის უკეთ ცნობილ მურვან იბნ მუჰამედად მიეჩნია.

3. „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მიერ ჯუანშერის თხზულებაში ჩართულ ტექსტში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ანაკოფიის ბრძოლამდე „ამანვე ყრუმ შეიპყრა და აწამა წმიდა დავით და კოსტანტინე, რომელთა წამებასა ვრცელად მოგვთხრობს ცხოვრება მათი“²⁹. თუ მისაღებია ჩვენი თვალსაზრისი ანაკოფიის ბრძოლის თარიღზე, მაშინ დავითი და კოსტანტინე 717 წელსვე უნდა ეწამებინა მოჰამედ იბნ მურვანს და არა მის ძეს — მურვან იბნ მუჰამედს.

„დავითისა და კოსტანტინეს ცხორებაში“³⁰ მათი მარტვილობის წელი ნათლად არ არის გარკვეული. ამის მიზეზია „ცხორების“ დასასრულს დართული ანაქრონული მითითებანი: „ხოლო იწამნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კოსტანტინე დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ორას ორმოცდაცხრასა, ხოლო ქრისტეს ჯუარცუმითგან შვდას ოცდაათსა, მეფობასა ბერძენთა ზედა ლეონ ისავრომსა, ხატთა მბრძოლისასა, ხოლო ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასლისა შვილთასა“³¹. ეს ქრონოლოგიური მითითებანი დასაბამიდან 645 წელს უდრის (6249—5604), ქრისტეს ჯვარცმიდან 764 წელს (730+34), ხოლო ლეონ III ისავრიელის ზეობა — 717—741 წლებზე მოდის.

როგორც ვნახეთ, სამივე ქრონოლოგიური მითითება სხვადასხვა თარიღს გვაძლევს და, ცხადია, მათზე დაყრდნობა შეუძლებელია³².

²⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235.

³⁰ წამება დავით და კოსტანტინესი, ძეგლები, III, თბ., 1971, გვ. 248—263.

³¹ ძეგლები, III, გვ. 263.

³² დაეუღია „დავითისა და კოსტანტინეს ცხორების“ ზეთი სვინაქსარული რედაქცია, რომლებიც XIII—XVIII სს. განეკუთვნებიან. აქედან სამი მარტვილობის ქრონოლოგიურ მითითებას შეიცავს, მაგრამ აქაც არ არის შეთანხმება თარიღებში: ა) „დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ორას ორმოცდაცხრამესა წელსა, ხოლო ქრისტეს ჯუარცუმითგან შვდას სამოცდაათშვიდშვიტსა წელსა“ (ძეგლები, IV, გვ. 360), რაც 639 და 811 წლებს უდრის (6243—5604; 777+34). ბ) „დასაბამითგან წელთა ექუსი ათას ორას ორმოცდაცხრასა, ხოლო ქრისტეს ჯუარცუმითგან შვდას ორმოცდაცხრასა, ბერძენთა ზედა ლეონ ისავრომს ხატთა ბრძოლისასა და ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასლისა შვილთა მირ და არჩილისათა“ (იქვე, გვ. 365). აქაც შეუთანხმებლობაა თარიღებში, რაც 645 (6249—5604) და 783 (749+34) წლებს გვაძლევს. გ) „დასაბამითგან სოფლასი ექუსი ათას ორას ორმოცდაცხრასა, ხოლო ქრისტეს

სპეციალურ ლიტერატურაში თავის დროზე იყო აღნიშნული მურვან ყრუს შთამომავლობაზე მითითების შეუსაბამობა და ანაქრონოზი³³. მარტვილობის ავტორის მიხედვით, მოციქულმა მუჰამედმა „მთავრობა თვისი“ თითქოსდა თავის დისშვილ მურვან ყრუს დაუტოვა. მათი ბიძა-დისშვილობა „ცხოვრებაში“ არაერთხელ არის აღნიშნული³⁴. იგივეა ნათქვამი ჯუანშერის თხზულებაშიც, რაც დავითისა და კოსტანტინეს ცხოვრებიდან მომდინარეობს³⁵. აღნიშნული გარემოება გვარწმუნებს, რომ „ცხოვრების“ ავტორისათვის ძალზე ბუნდოვანი უნდა ყოფილიყო მურვან ყრუს ვინაობისა და მასთან დაკავშირებული ქრონოლოგიის საკითხები. ცხადია, ვერც მურვან ყრუ გამოდგება მარტვილობის თარიღის დასადგენად, რადგან „ცხოვრების“ ავტორს მურვანი მუჰამედ მოციქულის დისშვილად წარმოუდგენია.

დავითისა და კოსტანტინეს მარტვილობის ანონიმი ავტორი თხრობას იწყებს ჰერაკლე კეისრისა და ხოსროს შორის ატეხილი

ჯუარკმითგან შვდას ოცდაათსა, მეუობასა ბერქენთასა ლეონ ისავროსა, ხოლო ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასლის შვილთა არჩილ და დარჩილრსა!ა“ (გვ. 366). ქრონოლოგიაში აქაც დიდ სხვაობაა—645 (6249—5604) და 764 (730+34) წლებს შორის.

ე. გაბიძაშვილის მოსაზრებით, აქ მოტანილი თარიღები თუმცა არ ეთანხმებიან ერთმანეთს, მაგრამ, შესაძლოა, დასაბამიდან აღებული ქრონოლოგია—734 და 741 წლები, ახლოს იყვნენ სინამდვილესთან. მკვლევრისთვის ასეთი დასკვნის საერთო საყრდენს ის წარმოადგენს, რომ დავითი და კოსტანტინე მურვან ყრუმ აწამა. ამდენად, არგვეთელი მთავრების მარტვილობა მურვანის კავკასიაში ყოფნის (734—744) ხანით უნდა განესაზღვროს. ამიტომ არის, რომ დასაბამიდან აღებულ წელს ბიზანტიური წელთაღრიცხვით ანგარიშობს (5508) და არა ქართულით (5604), რადგან ქართულში წელთაღრიცხვით 639 და 645 წლებს მიიღებდა, რაც მურვანამდე მთელი საუკუნით ადრე მოდის (იხ. ძეგლები, IV, გვ. 179, 160).

სვინაქსარული რედაქციები მაინც საინტერესოა არიან, თუნდაც იმ მხრივ, რომ დავითისა და კოსტანტინეს მარტვილობის დროს დასახელებულია მძარი და არჩილი, რაც მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ დავითი და კოსტანტინე მძარის სიციცხლეში უწამებიათ.

³³ კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, თბ., 1951, გვ. 510.

³⁴ „დაუტევა მთავრობა თვისი... მურვან ყრუსა, დისწულსა თვისსა“ (ძეგლები, III, გვ. 250). „...დიდსა მოციქულსა მუჰამადსა, დედის ძმასა ჩემსა“ (გვ. 252); „ადიდა დედის ძმა თვისი მუჰამედ და სჯული მისი“ (252); „ვითარმედ დედისა მოციქულისა მუჰამედის დისწული ვარ“ (252); „სახელგანთქმულსა მოციქულსა მუჰამადს, დედის ძმასა ჩემსა“ (253); „დაემორჩილენით სჯულსა რჩეულსა მუჰამად მოციქულისა, დედისა ძმისა ჩემისასა“ (253).

³⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 234. იხ. შენიშვნა (1).

ომის გამომწვევი მიზეზით და მისი შედეგით³⁶. ჰერაკლეს გარდაცვალების შემდეგ კი ნათქვამია „ხოლო რაჟამს მოკუდა ჰერაკლე მეფე, მისსა შემდგომად დადგეს მეფენი და პატრიარქნი, მწვალებელნი და უღირსნი და ხატთა მბრძოლნი, ვითარცა იტყუს მაქსიმე: „დამდაბლდეს მეფენი ბერძენთანი და განძლიერდეს სპარსნი და არაბნი მიშუებითა ღმრთისაჲთა“³⁷.

საყურადღებოა, რომ „ცხოვრების“ ავტორმა დავითისა და კოსტანტინეს მოწამეობრივი აღსასრულის მნიშვნელობის საჩვენებლად ორი მომენტი დაუპირისპირა ერთმანეთს. ერთია ჰერაკლე კეისრის ღვაწლი ქრისტიანული სამყაროს წინაშე, რომელიც, ვითარცა თავდადებული ქრისტიანი, ხოსროს წინააღმდეგ გაილაშქრებს იმ მიზნით, რომ იერუსალიმს დაუბრუნოს ხოსროს მიერ გატაცებული მაცხოვრის ვნების ჯვარი. ამას უპირისპირდება ის პერიოდი ბიზანტიის ისტორიისა, როდესაც სამეფოს სათავეში მოექცნენ „მწვალებელნი“, „უღირსნი და ხატთა მბრძოლნი“³⁸. ბიზანტიას — ქრისტიანული სამყაროს ტონის მიმცემს მწვალებლობის ღვარძლი რომ მოედო, მარტვილობის ავტორის კონცეფციით, სწორედ ამ რელიგიური შექირვების უამს შეიმკეს თავი მარტვილობის გვირგვინით დავითმა და კოსტანტინემ.

ჩვენთვის „ცხოვრების“ ავტორის ამ კონცეფციაში საყურადღებოა, რომ ხატმებრძოლ მეფედ, ექვგარეშეა, ლეონ III ისაერიელი (717—741) იგულისხმება. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მარტვილობის სვინაქსარული რედაქციის ის მითითება, რომ დავითი და კოსტანტინე აწამეს „მეფობასა ბერძენთასა ლეონ ისაეროსა, ხოლო ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასლის შვილთა არჩილ და დარჩილისასა“³⁹.

როგორც ვნახეთ, „დავითისა და კოსტანტინეს ცხოვრება“, აგრეთვე, მისი სვინაქსარული რედაქციები, ერთხმად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ არგვეთელ მთავართა მარტვილობა მიპრისა და არჩილის სიცოცხლეში მომხდარი ფაქტია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მიპრის გარდაცვალების თარიღის ცოდნა, რომლის ახლო ხანებში, მიპრის სიცოცხლეშივე, ანაკოფიის ბრძოლის წინ უნდა ეწამებინათ დავითი და კოსტანტინე.

4. ჯუანშერის წყაროს მიხედვით, მურვან ყრუ (როგორც გვგონია მუჰამედ იბნ მურვანი) მიპრისა და არჩილის წინააღმდეგ ანაკო-

³⁶ ძეგლები, III, გვ. 248, 249.

³⁷ იქვე, გვ. 250.

³⁸ იქვე.

³⁹ ძეგლები, IV, გვ. 366.

ფიის ბრძოლაში დამარცხდა. როგორც ირკვევა, ეს ბრძოლა 716—717 წწ. მომხდარა და, როგორც ქართული წყარო მიუთითებს, ამ ბრძოლაში „იწყლა მირ მაზრაკითა ფერდსა“⁴⁰.

მურვანის ქალკედონში უეცარი გარდაცვალების შემდეგ მოთხრობილია, რომ მიჰრმა და არჩილმა მოციქული გაგზავნეს „წინაშე ბერძენთა მეფისა“, რომელმაც ძმებს ორი სამეფო გვირგვინი გამოუგზავნა⁴¹.

ჯუანშერის წყაროს ცნობით, ანაკოფიის ბრძოლის დროს დაჭრილი მიჰრი „დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ“⁴², რის შედეგადაც გარდაცვლილა კიდეც⁴³.

მიჰრის გარდაცვალების თარიღის გარკვევისათვის ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მასლამამ 718 წლის 18 აგვისტოს მოხსნა კონსტანტინოპოლის ალყა. ამდენად, საქართველოდან ბიზანტიაში დესპანის გაგზავნა მხოლოდ 718 წლის აგვისტოსთვის მეორე ნახევრიდან და შემდეგ იყო შესაძლებელი. ლეონ III ისავრიელს სწორედ ამ ხანში უნდა გამოეგზავნა სამეფო გვირგვინები მიჰრისა და არჩილისათვის და, როგორც ატენის სიონის წარწერიდან ირკვევა, ღმრთივგვირგვინოსანი მეფე 719 წელს ასულა სამეფო ტახტზე. ეს კი გულისხმობს მიჰრის 718—719 წლებში გარდაცვალებას. ეჭვგარეშეა, ჩვენს წარწერაში დასახელებული ღმრთივგვირგვინოსანი, რომელიც 719 წელს გამეფებულა, არის არჩილ II, რომლის ზეობა 719—745 წლებით უნდა განისაზღვროს⁴⁴.

ამგვარად, ატენის სიონის ფრესკული წარწერა მთლიანად აღდგება (სურ. 7).

1. [†: ზოდუხს]ჯ ბ: ჯ: ითუჲჲჲჲჲჲ[ღსჩნსჯ]
2. [ჯთხუხს: ბ]თზზჳსჯღჲჲ[თუღსჯ ზჯ]
3. ჰ[უ]ფ[უს]ჯ: ხღჲნსჯსჯ: ყუზჳჲფ[ღ]
4. ჲსჯ: [სჯ]ჲჲნღზოჯსჯ: ჰ: ბ: ჯ: ჯიუსბღ
5. ჲსჯ ბღ[ჲ]ჲთ[ფ]ღჲჲ: ჰფჲ: სჲფჯნბ. ზ
6. ირბსჯ [ჲ]ჲ[ჲ]ჲ†ბჲსჯ: ჳჯ ჰუღჲზოჯ: უჲს

⁴⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 237.

⁴¹ იქვე, გვ. 239.

⁴² იქვე, გვ. 240.

⁴³ იქვე, გვ. 241.

⁴⁴ გ. მელიქიშვილი და დ. მუსხელიშვილი სწორად განსაზღვრეს არჩილ II-ის მეფობის ხანა — VIII საუკუნის პირველი ნახევრით (გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 29, 30; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 99). შესწორებას მოითხოვს დ. მუსხელიშვილის თარიღი—705 წელი, ხოლო მეკლევრის თვალსაზრისი არჩილის წამების თარიღზე (745 წ.) ვიზიარებთ.

7. **მტრული ტონით:** **მტრული ტონით:** **მტრული ტონით**
8. **სტრ [: 1 : 8 :]** **სტრ:** **მტრული ტონით** **ყტრ**
9. **სტრული ტონით:** **სტრული ტონით** **სტრული ტონით**
10. **სტრული ტონით** **სტრული ტონით** **სტრული ტონით**

ქარაგმების გახსნით და მხედრული ტრანსლიტერაციით:

1. [ქ: ზეობას]ა :კ:ა(=21), **ლ(მრ)თ(ი)ვეგვრგვნ[ოსანისა]**
2. **[არჩილისა კ|(ე)თ(ი)ლაღმსაზოვ [რებასა ზ(ედ)ა],**
3. **მქე|ფ|ის|ა ჩოვენისასა, ჭელმწიფო**
4. **ბასა [სა|რქინოზთასა რ კ ა : (=121), ალესრო-**
5. **კლა კ|ო|კ|რ|თხეოვლი მ(ამ)ფ(ა)ლი სტეფანოზ,**
6. **ლ(მრ)თ(ი)სა მქიერ] ქ(არ)თ(ოვე)ლ(თ)ა და მ(ე)გრ(ე)ლთა ერის**
7. **თავიერ[რისთა]ვა)ვსთა ო(ვფა)ლი. თ(ოვეს)ა ოკდომბე-**
8. **რსა [: ი დ :](=14), დღესა ოთხშაბათსა, ჟამს-**
9. **ა ლა[მისას]ა ა (=1), ამას ზ[ედ]ა წელსა, დღისა მ-**
10. **სტრული ტონით** **სტრული ტონით** **სტრული ტონით**

V

ატენის სიონის წარწერიდან ირკვევა, რომ სტეფანოზ მამფალს ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი ეწოდება, რაც თითქოს პოლიტიკურად მთლიანი ქართლის უმაღლეს ხელისუფლებას უნდა გამოხატავდეს, მაგრამ აქვე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქართლის (პოლიტიკური) იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას მეფე.

სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით რომ შევაფასოთ ეს ცნობა, სტეფანოზ მამფალი დიდად არ უნდა ჩამოუვარდებოდეს არჩილ II-ს სამეფო უფლებებს და, ეჭვგარეშეა, სტეფანოზი ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობაში თვალსაჩინო ფიგურა ყოფილა.

1. ატენის სიონის წარწერის მიხედვით ქვეყნის ასეთი სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია ჩანს: ცალკეულ სამთავროებს განაგებენ ერისთავთ-ერისთავები. ჩვენი წარწერის მიხედვით, ასეთებია ქართლისა და ეგრისის (მეგრელთა) ქვეყანა. ეს მსხვილი პოლიტიკური ერთეულები (ჩვენი წარწერით ქართლი და ეგრისი) მთავრის (მამფალის) ძალაუფლების ქვეშ ერთიანდებოდა, ხოლო პოლიტიკურად მთლიანი ქვეყნის სათავეში დგას მეფე.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ჯუანშერის წყაროს შემდეგი

ცნობები: მიპრი სიკვდილის წინ შესთხოვს არჩილს, რომ მის შვილ ქალიშვილს „განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია. ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა“. მიპრის გარდაცვალების შემდეგ „არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისწულნი მისნი“ და მიუბოძა: კლარჯეთი, ჭავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, ზენა სოფელი (ქართლი), კოტმანიდან ქურდის ხევამდე, ხერკი, ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი, ჭვარი, ტფილისი, შულავერი, არტანი, ლეონსაფხაზეთი, „ხოლო ნაწილი არჩილისი იყო განზოგებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ჭევთაგან“¹.

სპეციალურ ლიტერატურაში თავის დროზე მიექცა ყურადღება ჭუანშერის წყაროს იმ ცნობას, რომ არჩილ II-ის რეფორმამდე მეფის ზოგიერთი მაგნატი უკვე ფლობს იმ ტერიტორიას, რომელიც შემდეგ მეფემ უწყალობა². ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, არჩილს „სხვა აღარა დარჩენოდა-რა და მანაც აღიარა ერისთავთა „ხელმწიფობა“ საერისთავოებში და ქართლის პოლიტიკური ორგანიზაცია ამის კვალობაზე მოაწყო... ქვეყნის ნახევარი არჩილმა სამეფო საკუთრებად დაიტოვა, ხოლო მეორე ნახევარი ერისთავებს გადასცა, მაგრამ არა პირობით და დროებით, არამედ მკვიდრად და სამამულოდ. ამას შემდეგ ერისთავი თავის საერისთავო ქვეყანაში ხელმწიფე იყო და მისი მორჩილება ქართლის მმართველისადმი სუსტი მთავრის მორჩილებას ძლიერი მთავრისადმი (ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ, „შვილის“ მორჩილებას „მამაუფალისადმი“) უფრო ჰგავდა, ვიდრე მოხელის მორჩილებას თავისი ხელმწიფისადმი“³.

ატენის სიონის წარწერაში ასახული ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, ვფიქრობთ, კარგად შეეფერება ჭუანშერის წყაროში წარმოდგენილ ვითარებას. სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას ჩვენი წარწერის ის ხაზგასმული მითითება, რომ ქართლისა და ეგრისის მმართველობა სტეფანოზ მამფალს უბყრია, ხოლო ქვეყნის იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას მეფე.

2. იმ ერისთავთა შორის, რომლებსაც არჩილ II-მ ქვეყანა

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241—242.

² ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის, „შრომები“, I, 1952, გვ. 286 (შენ. 1), 287.

³ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 8.

„უბოძა“, სტეფანოზ მამფალი არ არის დასახელებული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სტეფანოზი ერისთავ-ერისთავთა უფალია (მამფალი), რაც ერისთავ-ერისთავზე გაცილებით მაღალ სოციალურ მდგომარეობას გულისხმობს. გარდა ამისა, სტეფანოზი საერისმთავრო ტახტზე რვა წლით ადრე ადის (711 წ.), ვიდრე არჩილ II სამეფო ტახტს დაიპყრობდა (719). ექვგარეშეა, არჩილ II-ის ზეობის პირველ წელს სტეფანოზს გარკვეული პოლიტიკური უფლებები ეპყრა და, როგორც ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებითა და ერთგვარი სახეცვლილებით, ეს უფლებები სიცოცხლის ბოლომდე არ დაუთმია. ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ 711 წლიდან სტეფანოზ მამფალია ქართლის ერისმთავარი. ეს თვალსაზრისი მეტ დამაჯერებლობას შეიძენს, თუ გავითვალისწინებთ ჯუანშერის იმ ცნობას, რომ მიპრი სიცოცხლის ბოლომდე ეგრისში დარჩა და კარგახანს ვერც არჩილ II გადმოსულა ქართლში⁴.

ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ერისმთავარი ნერსე განდევნის არჩილს ეგრისში და ქართლს იპყრობს. ისიც ვნახეთ, რომ კავკასიის ხალხთა კოალიცია 689 წელს მარცხით დამთავრებულა. შესაძლოა, ამავე ხანაში დაეკარგა ნერსეს ქართლზე მფლობელობის უფლებაც. ვერაფერს ვიტყვით, რა ხდება შემდეგ ქართლში, მაგრამ ერთი რამ კი დაბეჭითებათ შეიძლება ითქვას, რომ ატენის სიონის წარწერის გათვალისწინებით 711 წელს სტეფანოზ მამფალია ქართლის ერისმთავარი.

ჯუანშერი მიპრის გარდაცვალების (718—719 წწ.) შემდეგ მოგვითხრობს: „წარმოვიდა არჩილ და დაემკვდრა ეგრისს ვიდრე შორაპნადმდე“⁵. არჩილმა გამეფების შემდეგ ეგრისში საკმაო ხანი რომ დაჰყო, კარგად ჩანს ჯუანშერის ცნობიდანვე: „და წარკდა ამათ შინა წელიწადი თორმეტი, და იწყო შენებად ქართლმან. ხოლო განრყუნილ იყო საყოფელად მცხეთა. გარდამოვიდა არჩილ ეგრისით, და დაჰდა ნაციხარსა კიდრისასა“⁶. როგორც ირკვევა, არჩილი მისი ზეობის მეთორმეტე წელს ჩამოდის ქართლში, რაც 730 წელზე მოდის. ვფიქრობთ, სტეფანოზ მამფალის მიერ ქართლის დამოუკიდებლად მმართველობის ხანა 711—730 წლებით უნდა განისაზღვროს.

3. ჯუანშერის მიხედვით, არჩილმა ეგრისში ყოფნის დროს განახორციელა რეფორმა და ერისთავებს სამემკვიდროდ მისცა „ქვეყ-

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 232—244.

⁵ იქვე, გვ. 243.

⁶ იქვე.

ნები“. საყურადღებოა წყაროს ის ცნობა, რომ არჩილმა ნერსე ნერსიანსა და ადარნასე ადარნასიანს, „ორთავე ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი“⁷. ეს რეფორმა არჩილს ქართლში ჩამოსვლამდე უნდა ჩაეტარებინა — 719—729 წლებს შორის. ქართლის ბოძება, ერთი შეხედვით, ფორმალურ ხასიათს უნდა ატარებდეს, რადგან ჩვენი წარწერიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ მიჰრის მეფობისა თუ ერისმთავრობის დროს ქართლი სტეფანოზ მამფალს უპყრია.

აღნიშნულის მიუხედავად, რეალურად გვეჩვენება ვიფიქროთ, რომ არჩილის მიერ ქართლის ბოძება (post factum) გარკვეული პოლიტიკური პროგრამის განხორციელებას ისახავდა მიზნად. საქმე ის არის, რომ ჯუანშერის თუ მისი წყაროს მითითებით, არჩილის მიერ მიცემული თითოეული ქვეყნიდან, „განზოგებით გამონაყოფი ყოველთა ამათ კევთაგან“, მის წილ სარგოს შეადგენდა⁸. ვფიქრობთ, ასეთი პოლიტიკური აქტის განხორციელება, რაც ქართლის ერისთავ-ერისთავთა უფალის — სტეფანოზ მამფალის უფლებების შეზღუდვას გულისხმობდა, ბიზანტიისა და არაბთა ხალიფატის ქართლის მიმართ პოლიტიკური გავლენას გამოხატავდა.

ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ არჩილი ბიზანტიის პოლიტიკური პროგრამის „მსხვერპლი“ გამხდარა და იძულებული ყოფილა ქართლი ნერსესათვის დაეტოვებინა და ეგრისში გახიზნულიყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლში გართულებული სიტუაციის გამო სტეფანოზ II ვერ ჩამოასვენეს მცხეთაში საგვარეულო საძვალეში, ხოლო 718—719 წლებში მიჰრი, პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შედეგად, მცხეთაში დაუკრძალავთ. ასეთ შიდაპოლიტიკურ ვითარებას და არაბთა ხალიფატის გავლენას ნათლად ასახავს ატენის სიონის წარწერა, რაც ქართლისა და არაბთა ხალიფატის ურთიერთობაზე მკაფიოდ მიგვანიშნებს⁹. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ არჩილი კარგა ხანს ვერ ჩამოდის ქართლში, რაც იმ ერთადერთი დასკვნის უფლებას გვიტოვებს, რომ ქართლზე პოლიტიკური

⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241—242.

⁸ იქვე.

⁹ ამაზე მიუთითებს აგრეთვე „სარკინოზთა“ წელთაღრიცხვით გამოხატული თარიღი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ ქართლის მეფის ზეობით, ხოლო შემდეგ ჰიჯრით აღნიშნული თარიღი ქართლის მეფის გარკვეულ ტენდენციასზე მიგვანიშნებს. ვფიქრობთ, ასეთი ტენდენციების თანამიმდევრულად განხორციელება გახდა არჩილ II-ის სიკვდილით დასჯის მიზეზი და არამარტო ქრისტიანული სარწმუნოება, როგორც ამას გვიხატავს მისი „ცხოვრება“.

გავლენისათვის ბრძოლა ბიზანტიასა და არაბთა ხალიფატს შორის ჯერ არ ყოფილა მთლიანად დამთავრებული. ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ეგრისში მყოფი არჩილი ქართლს ნერსე ნერსიანსა და ადარნასე ადარნასიანს აძლევს, მაშინ, როცა ქართლის უფალი ფაქტიურად სტეფანოზ მამფალია. ჯუანშერისა და ჩვენი წარწერის ცნობების თანახმად, არჩილ II-ის გამეფებამდე რვა წლით ადრე, მიჰრის ერისმთავრობისა თუ მეფობის დროს, ქართლის ერისთავთ-ერისთავები სტეფანოზ მამფალის მფლობელობაში შედიან („ერისთავ-ერისთავსთა უფალი“). არჩილ-სტეფანოზის ურთიერთობის თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებოა ჯუანშერის ცნობა, რომლის მიხედვით მიჰრი არჩილს საუხუცესოდ უტოვებს ეგრისს, სვანეთს, თაკვერს, არგვეთსა და გურიას¹⁰. არჩილი თავის საუხუცესო ქვეყანას არავის უბოძებს, რადგან იგი მისი სარგოა. ამიტომ არის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი არცერთი ქვეყანა არ გვხვდება იმ ვრცელ სიაში, რომელშიც არჩილის მიერ ერისთავებისათვის ბოძებული ქვეყნებია დასახელებული¹¹.

ატენის სიონის წარწერიდან კი ვიცით, რომ სტეფანოზ მამფალი 739 წელს (და უფრო ადრეც) ქართველთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფალია და ქართლთან ერთად არჩილის საუხუცესო ქვეყნის ნაწილს — ეგრისსაც განაგებს. ამ ორი, ერთმანეთის გამომრიცხველი ცნობის შეთანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დავუშვებთ, რომ ქართლში რეალური უფლებების მოსაპოვებლად არჩილი გარკვეულ კომპრომისზე წასულა და ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიზნის მისაღწევად საუხუცესო მამული—ეგრისი დაუთმია. სხვაგვარად წარმოუდგენელია ატენის სიონის წარწერის იმ ცნობის ახსნა, რომ ქვეყნის სათავეში დგას „ღმრთიეგვრგვნოსანი მეფე“, არჩილ II, ხოლო ქართლისა და ეგრისის მმართველობის სადავეები ხელთ უპყრია სტეფანოზ მამფალს. ვფიქრობთ, 730 წელს არჩილის ქართლში გამოჩენა და „კიდრისს დაჯდომა“ ამ პოლიტიკური აქტის გამოხატულებაა.

თუ ჩვენი არგუმენტაცია მისაღებია, 730 წლიდან უნდა გამხდარიყო სტეფანოზ მამფალი „ქართუელთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავსთა უფალი“, ხოლო არჩილ II — „ყოველი ქართლის“ მეფე, რაც, ცხადია, რეალურ პოლიტიკურ ტიტულს არ უნდა გამოხატავდეს. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ჯუანშერის წყაროს ცნობით,

¹⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241.

¹¹ იქვე, გვ. 241—243.

არჩილის სამეფო სარგოს შეადგენდა „განზოგებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ჯევთაგან“, რომელთა მეორე ნახევარზე ერისთავთა პოლიტიკური უფლებები იძულებით აღიარა. არჩილის კუთვნილია აგრეთვე საუხუცესო და სამეფო დომენი, რომელთაგან კახეთი „ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა“¹², ხოლო ეგრისი, პოლიტიკური მოსაზრებით, იმ დროის უძლიერეს ფეოდალსა და მის რეალურ მეტოქეს — სტეფანოზ მამფალს დაუთმო.

VI

ქართლის ერისმთავრის, ნერსეს (682/86 — 689) შემდეგ სტეფანოზ მამფალის ქართლის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენა გვაფიქრებინებს, რომ ნერსე და სტეფანოზი ერთი საგვარეულო სახლის წარმომადგენლები არიან. ერთი კი ცხადია, რომ ნერსე და სტეფანოზი სტეფანოზ II-ის საგვარეულო სახლს არ ეკუთვნიან.

1. ქართლის მოქცევის შატბერდულ რედაქციაში, იქ, სადაც „დიდნი ერისთავნი“ არიან დასახელებულნი, ვარაზ ბაკურ აპამ პატრიკოზის შემდეგ ჩამოთვლილია: „ნერსე [:'ი:] და ძენი მისნი: ფილიპე :(ი'ა):, სტეფანოზ :(ი'ბ): ადარნესე :(ი'გ):“ ამავე წყაროს კელიშურ ნუსხაში ნერსეს „დიდის“ ტიტულიც ემატება, ხოლო მისი ძეები — ფილიპე, სტეფანოზი და ადარნესე იმავე თანამიმდევრობითაა ჩამოთვლილი¹.

სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით, „სტეფანოზისა შემდგომად (სტეფანოზ I — გ. ა.) ერისთაობდა ძე მისი გუარამ კურაპალატი. და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ, ძე მისი, ანთიპატოსი, ... და მერმე ნერსე და ძენი მისნი, ფილიპე და სტეფანოზ და ადარნასე, და ძენი მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი“².

ქართლის ერისმთავართა ზემოთ მოტანილი სიიდან სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ სტეფანოზ I (590 — 604/5) და აშოტ კურაპალატის (786—826) ზეობის წლებია განსაზღვრული, რაც მოცემული სიის თავსა და ბოლოს შეადგენს. აშოტ კურაპალატის მამა — ადარნასე, ნერსეს უმცროსი შვილი და ფილიპეს და სტეფანოზის ძმა რომ ყოფილა, ამაზე ერთხმად მიუთითებენ ქართული ნარატიული წყაროები. სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია.

¹² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 212, 213.

¹ მოქცევაჲ, ქართლისაჲ, ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 97.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 376.

თვალსაზრისი, რომ ქართველ ერისთავთა შორის დასახელებული ადარნასე, რომელსაც არჩილ II-მ შულავერი და არტანი უბოძა, აშოტ კურაპალატის მამაა³. აქედან ცხადია, რომ ნერსე და მისი ძე-ები: ფილიპე, სტეფანოზი და ადარნასე, მიჰრისა და არჩილ II-ის თანამედროვენი ყოფილან. აღნიშნული გარემოება გვარწმუნებს, რომ ნერსე ერისმთავარის ერთ-ერთი ძე — სტეფანოზი და ატენის სიონის წარწერაში მოხსენიებული სტეფანოზ მამფალი, რომელიც არჩილ II-ის ზეობის 21-ე წელს გარდაცვლილა, ერთი და იგივე პიროვნებაა.

2. არც სტეფანოზ მამფალის უმცროსი ძმა — ადარნასეა დასახელებული იმ ერისთავთა სიაში, რომლებსაც არჩილ II-მ მისი ეგრიისში ყოფნის დროს ქვეყნები უბოძა. მხოლოდ არჩილის ქართლში ჩამოსვლის (730 წ.) მერე მოგვითხრობს ჯუანშერი, რომ არჩილთან „მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელით ადარნასე. ძმისწული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთადვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შეილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისგან და რქუა: „უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვდრი შენი, მომეც ქუეყანა“. და მისცა შულავერი და არტანი“⁴. ეს ცნობა ჩვენთვის მრავალმხრივ არის საყურადღებო. ჯუანშერი გარკვევით მიუთითებს, რომ ადარნასე კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელია, რაც თავისთავად გულისხმობს მისი ძმების — ფილიპეს, სტეფანოზ მამფალისა და, ცხადია, მათი ძმის — ნერსე ერისმთავრის ამ საგვარეულო სახლის კუთვნილებას. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამოხატული „მატიანე ქართლისაჲ“-ში. იქ, სადაც ადარნასეს შესახებაა მოთხრობილი, ნათქვამია შემდეგი: „იცვალა ადარნასე ბაგრატიონიანმან ნასამალი კლარჯე-

³ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ტექსტი გამოსცა შენაველით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ე. თაყაიშვილმა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 27, თბ., 1949, გვ. 14, 35, 36; ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 12; გ. მამულაია, ფარნაევანთა და ბაგრატიონთა სახლას ურთიერთობა VII:—IX საუკუნეთა მიჯნაზე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 67, № 1, 1972, გვ. 245—247.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

თისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა. ასისფორისა, არტანისა... და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა“. ამის შემდეგ „მეცნიერ კაცთა“ მიერ ჩართულია, რომ ადარნასეს „მამა მისი ნერსე, ძე ვარაზ-ბაკურ ანთიპატრიკისა, და ამის ვარაზ-ბაკურის მამა, სახელით გუარამ კურაპალატი, ძე პირველისა სტეფანოზისი და ძმა დემეტრესი, — ესენი გარდაცვალებულ იყვნეს; და ძმანი ამის ადარნასესნი, სახელით ფილიპე და სტეფანოზ, იგინიცა მომკუდარ იყვნეს“⁵. ზემოთ მოტანილი ცნობის მიხედვით, სტეფანოზ მამფალის უმცროსი ძმა ადარნასე, ძმისწული ყოფილა ადარნასე ბრმისა, რაც ადარნასე ბრმას ვარაზ-ბაკურის შვილად და ნერსე ერისმთავრის ძმად გვაუარაულებინებს.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული წყაროს არასწორი წაკითხვა საფუძველი გახდა მისი მცდარი ინტერპრეტაციისა. ე. თაყაიშვილს წაკითხვით, ადარნასე ძმისწულია ადარნასე ბრმისა⁶. ე. თაყაიშვილის ამ შესწორებას იზიარებს გ. მამულია⁷. ჯუანშერის წყარო კი გარკვევით აღნიშნავს, რომ ადარნასე ძმისწული ყოფილა ადარნასე ბრმისა⁸. საქმე ის არის, რომ ძმისწული შვილიშვილს ნიშნავს, ხოლო ძმისწული — ძმისშვილს ან ბიძაშვილს⁹. ჯუანშერის ცნობის ამ ადგილს ძმისწულად თუ წავიკითხავთ (ე. თაყაიშვილისა და გ. მამულიას მიხედვით), მაშინ გამოვა, რომ ადარნასეს პაპა ადარნასე ბრმა უნდა ყოფილიყო. გ. მამულია აღნიშნავს, რომ „ადარნასე, ქართლის ერისმთავრის აშოტ დიდის კურაპალატის (გარდ. 826 წელს) მამა არის“, ხოლო შემდეგ დასძენს, რომ „ადარნასე კი სომხეთის მთავრის აშოტ ბრმის ბაგრატუნის (გარდ. დაახლ. 761 წელს) შვილიშვილი იყო“ და ჯუანშერი შეცდომით აშოტ ბრმას ადარნასე ბრმას უწოდებს¹⁰. საკითხავია, როგორღა უნდა გავიგოთ ქართლის მოქცევის¹¹, მათიანე ქართლისას¹² და სუმბატ დავითის ძის¹³ ის ცნობები, რომლებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ აშოტ კურაპალატის

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251—252.

⁶ ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა III, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1949. ნაკვ. 27, გვ. 35—36.

⁷ გ. მამულია, დასახ. ნაშრ., გვ. 245—247.

⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

⁹ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 525, 527.

¹⁰ გ. მამულია, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

¹¹ მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძეგლები, I, გვ. 97.

¹² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252.

¹³ იქვე, გვ. 376.

მაშა—ადარნასე, შვილია ნერსე ერისმთავრისა, ხოლო ნერსე ვარაზ-ბაკურის ძეა. ცხადია, აღნიშნული წყაროების ცნობათა უგულვებელყოფა არ შეიძლება და, ექვეგარეშეა, რომ ვარაზ-ბაკურია ადარნასეს პაპა და არა სომხეთის მთავარი აშოტ ბაგრატიუნი, ხოლო ადარნასე ბრმა შვილია ვარაზ-ბაკურისა, ძმა ნერსე დიდისა და ბიძა — ფილიპესი, სტეფანოზ მამფალისა და ადარნასესი.

ადარნასე ბრმისა და აშოტ ბაგრატიუნის გაიგივება ანაქრონიზმია. მარკვარტის გამოანგარიშებით, აშოტ ბაგრატიუნს თვალები დათხარეს 748 წელს, ხოლო 761 წელს იგი გარდაიცვალა¹⁴. ჯუანშერის წყაროს მიხედვით კი, ადარნასე ბრმის ძმისწული (ე. თაყაიშვილისა და გ. მამულიას მიხედვით აშოტ ბრმის ძისწული) ადარნასე არჩილ II-ის ქართლში ჩამოსვლის (730 წ.) და, შესაძლოა, სტეფანოზ მამფალის გარდაცვალების (739 წ.) შემდეგ იღებს სამემკვიდრეო მამულს — შულავერსა და არტანს. გარდა ამისა, არჩილ II-ის ზეობა 719—745 წლებზე მოდის და, ცხადია, 748 წელს მომხდარი ამბავი შეუძლებელია არჩილ II-ის მეფობის ხანასთან დავაკავშიროთ. ექვეგარეშეა, ჯუანშერის წყაროს მითითება — „ძმისწული ადარნასე ბრმისა“ — არავითარ შესწორებას არ საჭიროებს.

3. ვარაზ-ბაკურს მესამე ძეც ჰყოლია. ჯუანშერის მიხედვით, არჩილ II-ის მეფობის ბოლო წლებში, „ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თუალნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი, და დაემკვდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკვდროქმნილ იყო. ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“¹⁵.

როგორც ირკვევა, არჩილ II-ს შულავერი და არტანი მიუცია. ნერსე დიდის უმცროსი ძისა და სტეფანოზ მამფალის ძმისათვის — ადარნასესათვის, ხოლო სომხეთიდან („ტარონით“) წამოსული ნერსე ერისმთავრის ძმისწულები, არჩილ II-ის ბრძანებით, ჰერეთში („შაკიხად“... „გულგულამდის“) დამკვიდრებულან. რატომ უნდა მოსულიყვნენ სომხეთიდან ჰერეთში ქართლის ერისმთავრის — ნერსე დიდის ძმისშვილები და „ქართუელთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავსთა უფალის“ სტეფანოზ მამფალის ბიძაშვილები? ამ კითხვაზე,

¹⁴ J. Marquart, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge. Leipzig, 1903, გვ. 396, 414—416; მისვე, Südarmenien und die Tigrisquellen, Wien, 1930, გვ. 291—222 (შენიშვნა 1).

¹⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 244.

ვფიქრობთ, პასუხს გვაძლევს ჯუანშერის ზემოთ დამოწმებული ცნობა.

როგორც ვიცით, არჩილთან ქვეყნის სათხოვნელად მოდის ნერსე დიდის ძე — ადარნასე, რომელიც, ჯუანშერის ცნობით, ყოფილა „ძმისწული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთადვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხთისათა“¹⁶. ამ კონტექსტში „რომლისა მამა მისი“ — ადარნასეს მამას — ნერსეს გულისხმობს, რადგან ჯუანშერის წყარო ადარნასეზე მოგვითხრობს.

სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის მითითება, რომ სომხეთში მყოფი არაბთა ჯარი განდევნა ქართლის ერისმთავარმა ნერსემ, გვაფიქრებინებს, რომ კავკასიის ხალხთა ამ კოალიციას ქართლის ერისმთავარი ედგა სათავეში, რომელსაც სომხეთზეც მიუწვდებოდა ხელი.

საყურადღებოა, რომ ბიზანტიური და არაბული წყაროების მიხედვით, 686 წელს ბიზანტიელი სარდალი ლეონტი სომხეთში შეჭრილა, იქ მყოფი მუსულმანები განუდევნია და სომხეთი და მისი მიმდებარე ქვეყანა — აზერბაიჯანი ვიდრე კასპიის ზღვამდე, ბიზანტიისადმი დაუმორჩილებია¹⁷. ზემოთ ვაჩვენეთ, რომ იმავე 686 წელს, როგორც ამას ერთხმად აღნიშნავენ სომეხი ისტორიკოსები — ლევონდი და იოანე დრასხანაკერტელი, ქართლის ერისმთავარმა ნერსემ სომხეთში მდგარი არაბთა ჯარი დაამარცხა და განდევნა¹⁸. ამ ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტზე ერთი და იგივე ქრონოლოგიური მითითება გვარწმუნებს, რომ ქართლი და ბიზანტია ერთი საერთო პროგრამით მოქმედებენ.

ამგვარად, სომხური, არაბული და ბიზანტიური წყაროების ცნობები ნათელს ჰფენს ჯუანშერის წყაროს იმ მითითებას, რომ ქართლის ერისმთავარი ნერსე დიდი ბიზანტიის მიერ სომხეთის ერისმთავრადაც იყო „დადგინებული“¹⁹. მაშინ გასაგები ხდება ნერსე დიდისა და ბიზანტიელი სარდალის — ლეონტის მიერ სომხეთში მდგარი არაბთა ჯარის განდევნის პოლიტიკური აზრი. ისიც ცხადია, რომ ქართლის პოლიტიკურ სარბიელზე ნერსეს გამოჩენა და არჩილ II-ის

¹⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

¹⁷ А. М ю л л е р, История ислама, II, 1895, გვ. 49.

¹⁸ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 366–368; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ე. დ ო ნ დ უ ა, ... საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 115, 116.

¹⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

ეგრისში განდევნა ბიზანტიის პოლიტიკური პროგრამის გამოხატუ-
ლებაა.

როგორც ირკვევა, სომხეთიდან ჰერეთში ჩამოსული სამი ძმა, რომლებიც არჩილ II-ის ბრძანებით შაქიდან გულგულამდე დამკვიდრებულან ბიზანტიის მესვეურთა („ბერძენთა მიერ“) პოლიტიკური მოსაზრებით, სომხეთის მთავრად დანიშნული ქართლის ერისმთავრის — ნერსე დიდის ძმისშვილები ყოფილან. ასეთ შემთხვევაში აღარცაა გასაკვირი, რომ ნერსეს ძმისშვილები ტარონის ქვეყანას ფლობდნენ. ხოლო მას შემდეგ, როდესაც „განძლიერებულ იყვნეს სარკინოზნი ქუეყანასა რანისასა; დაეპყრათ განირი და სომხითი“²⁰, ბუნებრივია, რომ ბიზანტიის მიერ მინიჭებული უფლებები დაეკარგათ და ამიტომ მოაშურეს ნერსე დიდის ძმისშვილებმა არჩილ II-ს და მეფის ბრძანებით ჰერეთში დასხდნენ.

VII

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ატენის სიონის ფრესკულ წარწერაში მოხსენიებული სტეფანოზ მამფალი ადგილობრივ ფეოდალთა გვარს უნდა ეკუთვნოდეს¹ და იგი ისტორიული წყაროებით არ არის ცნობილი. ზემოთ ვაჩვენეთ, რომ სტეფანოზ მამფალს ყველა ის ქართული ნარატიული წყარო ასახელებს, რომლებიც ქართლის მოქცევის ქრონიკიდან მომდინარეობენ². ისიც აღსანიშნავია, რომ ეს უძველესი ისტორიული წყარო — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — სტეფანოზს დიდ ერისთავთა რიგში ასახელებს.

1. სტეფანოზ მამფალის ვინაობის გარკვევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესწავლამ გარკვეული კორექტივი შეიტანა კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის გენეალოგიის ადრეფეოდალური ხანის მონაკვეთში. ტაბულის შედგენას ართულებს ბაგრატიონთა სახლის მამამთავრის ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ აზრთა სხვაობა³. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ერთად ჩა-

²⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 244.

¹ თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

² რეგლები, I, გვ. 97; ქ-ცბა, I, გვ. 252, 376.

³ კ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 79; C. T o u n a n o f f, Studies in Christian Caucasian History. Georgetown Universiti Press, 1963, გვ. 277—354; გ. მ ა მ უ ლ ი ა, ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და ქართლის (იბერიის) საჩუქოს წარმოქმნა, მნათობი, № 2, თბ., 1971, გვ. 179—191.

მოთვლის ხოსროიანთა და ბაგრატიონთა სახლის მეფე-ერისმთავრებს⁴, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს ბაგრატიონთა სახლის ზეობის ქრონოლოგიისა და ამ გვარის ფუძემდებლის ვინაობის გარკვევას.

სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, რომლის მიზანს შეადგენს აჩვენოს „თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა“ ბაგრატიონები და „რომლით უამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“⁵ გუარამ კურაპალატის შესახებ აცხადებს, რომ „ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატიონიან[ნი] შვილის. შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი“⁶.

ჯუანშერის მიხედვით, გუარამი ვახტანგ გორგასლის ძის მირდატის დისწულია⁷. აქვე ვახტანგ მეფის „სწავლულ კაცთა“ კომისიას შემდეგი ჩაურთავს: „ხოლო ესე გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიონი. და ესე ბაგრატიონი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან ამა გუარამისნი“⁸. „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ეს კონცეფცია „მატიანე ქართლისას“ ჩანართშიც აისახა⁹, სადაც გუარამ კურაპალატის შვილთა შორის დასახელებულია ჩვენი წარწერის სტეფანოზი.

საყურადღებოა, რომ კონსტანტინე პროფიროგენეტი მისი თხზულების დაწერიდან 400 თუ 500 წლის წინა ხანას მიიჩნევს ქართლში ბაგრატიონთა დინასტიის გამეფების დასაწყისად¹⁰. კონსტანტინე პროფიროგენეტის თხზულება — „De administrando imperio“ — 952 წელს არის დაწერილი. აქედან 400 თუ 500 წლით წინა ხანა 548 ან 448 წელზე მოდის¹¹. პირველი ქრონოლოგიური მითითება ახლოა გუარამ კურაპალატის ზეობასთან (545/46 — 585/86). და კარგად ეთანხმება სუმბატ დავითის ძის ცნობას ქართლში ბაგრატიონთა მოსვლის შესახებ.

არ არის გარკვეული, რა წყაროებით სარგებლობდა კონსტანტინე პროფიროგენეტი, მაგრამ რეალურად გვეჩვენება სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ის თვალსაზრისი, რომ კონსტანტინე

⁴ ძეგლები, 1, გვ. 91—97.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 372.

⁶ იქვე, გვ. 373.

⁷ იქვე, გვ. 218.

⁸ იქვე.

⁹ იქვე, გვ. 252.

¹⁰ ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, № 2, თბ., 1952, გვ. 259, 260.

¹¹ ამის შესახებ იხ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა... ე. თაყაიშვილის გაზრცემით, თბ., 1949, გვ. 26.

პორფიროგენეტისა და სუმბატ დავითის ძის წყარო X საუკუნეზე ადრეული ხანის ძეგლი უნდა ყოფილიყო¹².

გუარამ კურაპალატის ბაგრატიონობისა და, მით უფრო, მისი მამამთავრობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა.

მ. ბროსეს მოსაზრებით, გუარამ კურაპალატი მამით ბაგრატიონია და დედით ხოსროიანი¹³.

ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, გუარამ კურაპალატი არც ბაგრატიონთა სახლის მამამთავარია და არც ბაგრატიონი. მკვლევრის აზრით, კონსტანტინე პორფიროგენეტისა და სუმბატ დავითის ძის ცნობები გუარამის ბაგრატიონობის შესახებ მცდარია და არ გააჩნიათ ისტორიული ცნობის ღირებულება. ასეთი დასკვნის საფუძველს ე. თაყაიშვილისათვის ის წარმოადგენს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გუარამს ბაგრატიონად არ ასახელებს. გარდა ამისა, ჯუანშერი ქართლში პირველი ბაგრატიონის — ადარნასეს მოსვლას VIII საუკუნეში დებს¹⁴.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ადარნასე ბაგრატიონი ჩვენი წარწერის სტეფანოზის უმცროსი ძმაა და ნერსე დიდის უმცროსი შვილია, რაც გამორიცხავს ქართლში მოსულ პირველ ბაგრატიონად ადარნასეს მიჩნევის შესაძლებლობას.

აქ არ შევუდგებით ბაგრატიონთა წარმომავლობისა და მამამთავრის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ სხვადასხვა თვალსაზრისების განხილვას¹⁵, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ სწორად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი VI საუკუნის ქართლის ერისმთავართა ბაგრატიონთა სახლის კუთვნილების შესახებ¹⁶, თუმცა, გუარამის მამამთავრობაში არა ვართ დარწმუნებული. ბაგრატიონთა გენეალოგიურ ტაბულას, პირობითად, მაგრამ ტრადიციულად, გუარამ I კურაპალატით ვიწყებთ.

¹² ბიზანტიელი მწერლების ცნობები..., IV, 2, გვ. 260—262.

¹³ M. Brosset, Histoire de la Géorgie. St-Petersbourg, 1858. გვ. 216.

¹⁴ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 25—35.

¹⁵ იხ. ამის შესახებ: პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 79; C. Toumanoff, დასახ. ნაშრ., გვ. 111, 154, 155, 183, 277—354; გ. მ ა მ უ ლ ი ა, ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და ქართლის (იბერიის) საჰეფოს წარმოქმნა. მნათობი, № 2, თბ., 1971, გვ. 179—191.

¹⁶ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 79; Матнანе Кар-
თლისა (Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе), Тбилиси,
1976, გვ. 64.

ქვემოთ მოგვაქვს კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის გენეალოგიური ტაბულა, რომლის დანიშნულებაა აჩვენოს სტეფანოზ მამფალის გენეალოგიური წარმომავლობა. ტაბულას სისრულის პრეტენზია არა აქვს. ამა თუ იმ პირის ქრონოლოგია და, ცალკეულ შემთხვევაში, შთამომავლობის განსაზღვრა წინასწარულია, მაგალითად, ჰიპოთეტურია დემეტრე ვიპატოსის ზეობის ქრონოლოგია: როგორც ვიცით, გუარამ I კურაპალატის ზეობა 545/46 — 585/86 წლებზე მოდის, ხოლო მისი ძის — სტეფანოს I ქართლის პატრიკიოსის ერისმთავრობა 590 — 604/5 წლებითაა განსაზღვრული¹⁷. მათ შორის არსებული ქრონოლოგიური ხარვეზები, რაც ოთხ წელს შეადგენს, პირობითად, გუარამ I-ის მემკვიდრით (შესაძლოა უფროსი ძის) დემეტრე ვიპატოსით შევავსეთ და მისი ზეობის წლებად მივიჩნიეთ 585/86—590 წწ.¹⁸

ვფიქრობთ, რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს ბაგრატიონთა სახლის გენეალოგიის ის მონაკვეთი, რომელიც ნარატიული წყაროების სრული თანხმობის საფუძველზეა აგებული. ვითვალისწინებთ „მატიანე ქართლისას“ ჩანართის იმ ცნობას, რომ სტეფანოზ I-ს ორი ძე — გუარამი და დემეტრე ჰყავდა („გუარამ კურაპალატი, ძე პირველისა სტეფანოზისი და ძმა დემეტრესი“)¹⁹. აქვე ნაჩვენებია, რომ გუარამ კურაპალატის ძეა ვარაზ-ბაკური, რომელსაც სამი შვილი ჰყოლია — ნერსე დიდი, ადარნასე ბრმად წოდებული და ანონიმე (ძე), რომლის შვილებმა ბიძას თვალები დასწვეს. მაგრამ ერთადერთი წყაროა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც ნერსე დიდის ძეების რიგში მეოთხეს — გუარამ კურაპალატსაც ასახელებს²⁰.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ

¹⁷ Г. Н. Ч у с т н а ш в и л и, Памятники типа ЛжварII, გვ. 22—25:.

¹⁸ უდავოდ ანვარიშგასაწვეია ჟღანშერის ის მითითება, რომ „ძმა სტეფანოზისი, სახელით დემეტრე, აღაშენებდა ეკლესიასა ჟუარისა პატიოსნისაჲ:ა. რამეთუ სენიკა იყო მის თანა ბოროტი, და ვერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა“ (ქ-ცბა, I, გვ. 223). დემეტრეს მცხეთის ჭვარის მშენებლობაში მონაწილეობა და, მით უფრო დაწყება (ჯუანშერით), გვაფიქრებინებს, რომ დემეტრეს ამ დროისათვის ქვეყნის მმართველობის სადავეები ეპყრა და „ბოროტი სენის“ გამო დიდხანს ვერ უმთავრია. იქნებ დემეტრეს ერისმთავრობის დროისა იყო ის მონეტა რომელზეც XQ (ჟო) ასოებია მოთავსებული და, შესაძლოა, იმ მნიშვნელოვანი აქტის — მცხეთის ჭვარის საფუძველის დადებას გამოხატავდეს („ჟუარი უფლისა“, ან „ჯუარო“). მსგავსი წაკითხვა დადასტურებულია სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. გ. დუნდუა, ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 3, 1976, გვ. 45.

¹⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252.

²⁰ ძეგლები, I, გვ. 97.

გუარამ კურაპალატი სტეფანოზ II-ის ძმა და ადარნასე I-ის შვილია. რომლის ძეს არჩილ II-მ მიპრის ერთ-ერთი ასული მიათხოვა, ხოლო არჩილმა გუარამის ასული შეირთო ცოლად. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩილ II-მ ცოლად შეირთო თავისი ბიძაშვილი, ხოლო მიპრის ასული მისი მამის ბიძაშვილზე გათხოვილა. აღნიშნული გარემოება კი იმით არის ახსნილი, რომ მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ყოვლად დაუშვებელი ასეთი კავშირის გამონაკლისის მოძებნა ბაგრატიონთა სახლის შვილებისათვის სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაშინ, როცა საქმე შეეხებოდა თავისი ქვეყნისათვის სხვისი ქვეყნის მიერთების საკითხს და ამ მიზნისათვის მოხერხებულად იყენებდნენ ლეგენდას ბაგრატიონთა სახლის დავით წინასწარმეტყველისაგან წარმოშობის შესახებ²¹.

სარწმუნო ჩანს ის მოსაზრება, რომ მიპრის ასული სტეფანოზ II-ს ძმის — გუარამის შვილზე გათხოვილა („ერთი მისცა მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი“)²², მაგრამ საეკვოდ გვეჩვენება, რომ არჩილ II-მ იმავე გუარამის ასული შეირთო ცოლად. ჯუანშერის წყაროს ცნობით, „მოვიდა არჩილ კახეთად“ და იქ (საძმორს) ეკლესიის აშენების შემდეგ „შეირთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა“²³. საკითხავია, რატომ უნდა შეერთო არჩილ II-ს ცოლი კახეთში, თუ იგი იმ გუარამის ასული იყო, რომლის ძეც კლარჯეთსა და ჯავახეთს ფლობდა. იმის საჩვენებლად, რომ არჩილის სიმამრი იგივე პიროვნება არ არის, რომლის ძეცა მიპრის ასული შეირთო, ჯუანშერის წყარო სხვადასხვაგვარად მიუთითებს მათზე. ზემოთ ვნახეთ, რომ მიპრის ასულის მამამთილია გუარამი — მიპრის მამის ძმისწული („მამის ძმისწულსა მისსა“), რომლის ძეს „ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი“. რაც შეეხება არჩილ II-ის სიმამრს, ჯუანშერის მიუთითებით, იგი ყოფილა „შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა“²⁴. ვფიქრობთ, მიპრის ასულის მამამთილი და არჩილ II სიმამრი ერთი და იგივე პირი რომ ყოფილიყო, უნიფიკირებული იქნებოდა მათზე მიუთითებანი. ასეთ შემთხვევაში, გუარამის ღირსების საჩვენებლად ანონიმს ორივე შემთხვევაში ვახტანგ გორგასალის ჩამომავლობაზე უნდა მიეთითებინა. ამის გამოა, რომ ანგარიშგასაწევად მივიჩნევთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ იმ ცნობას, რომელშიც ნერსე დიდის შვილებს შორის ფილიპეს, სტეფანოზ მამ-

²¹ გ. მ. მ. უ. ლ. ი. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 245—248.

²² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241.

²³ იქვე, გვ. 243.

²⁴ იქვე.

ფალისა და ადარნასეს გვერდით გუარამ კურაპალატიცაა დასახელებული, რომლის ასული, ვფიქრობთ, ცოლად უნდა შეერთო არჩილ II-ს.

მართებულად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ის თვალსაზრისი, რომ არჩილ II ძის—ჯუანშერის ცოლი—ლატავარი, ადარნასეს ასული და გურგენისა და აშოტ კურაპალატის და ყოფილა²⁵.

რაც შეეხება ქართლის ერისმთავარ ნერსეს, რომელიც ჰაბოტფილელის მარტვილობაში²⁶ და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია²⁷ მოხსენიებული, მისი ზეობა სპეციალურ ლიტერატურაში 772—781 წლებით არის განსაზღვრული²⁸. იოვანე საბანის ძის ცნობით, ნერსე ქართლის ერისმთავარი, ერისმთავარ ადარნასე კურაპალატის ძე ყოფილა („ერისმთავარი იგი ქართლისაჲ“)²⁹.

ერთი შეხედვით ნერსეს მამა, ადარნასე, სტეფანოზ მამფალის უმცროს ძმად შეგვეძლო მიგვეჩინა³⁰, მაგრამ საქმე ის არის, რომ ნერსე ერისმთავრის ხაზარეთსა და აფხაზეთში გაქცევის შემდეგ, რაც 780 — 781 წლებზე მოდის³¹, „წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაჲთა სტეფანოზ, ძმ გურგენ ერისთვისაჲ, დისწული ნერსესი, ნაცვალად დედის ძმისა თვისისა ნერსესა, ერის მთავრად ქუეყანასა ამას ქართლისასა“³². იოვანე საბანის ძის ეს ცნობა გვარწმუნებს, რომ ნერსე იმ ადარნასეს შვილი და ლატავრის, აშოტისა და გურგენის ძმა ვერ იქნებოდა, რადგან მისი დისწული, სტეფანოზი, გურგენის ძე ყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ გურგენ ერისთავი ნერსეს სიძეა და არა ძმა.

ნერსეს მამის — ადარნასეს იდენტიფიკაციისათვის ერთადერთი გზა გვრჩება. ეს არის ადარნასე ბრმა, რომელსაც ძმისწულებმა თვალელები დასწვეს. ასეთი ვარაუდი ქრონოლოგიურად გამართლებულია. როგორც ჩანს, ადარნასე კურაპალატი ვარაზ-ბაკურის უმცროსი ძე უნდა ყოფილიყო. იოვანე საბანისძის ის ცნობა, რომ ადარ-

²⁵ გ. შ ა ნ უ ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 245—247.

²⁶ ძეგლები, I, გვ. 55—59, 61—62.

²⁷ ძეგლები, I, გვ. 249.

²⁸ ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 78—80, მისივე, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, I, თბ., 1945, გვ. 121.

²⁹ ძეგლები, I, გვ. 55.

³⁰ ამას ხელს არ უშლის ქრონოლოგია: ადარნასემ 730 წელს მიიღო არჩილისაგან შულავერი და არტანი; ნერსე 772 წელს ქართლის ერისმთავრად ჩანს.


³¹ ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 78—80.

³² ძეგლები, I, გვ. 61.

ნასე ერისმთავარია და მას კურაპალატის ტიტულიც აქვს ბიზანტიისაგან მინიჭებული, ცხადია, ძმისწულებისათვის პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლისათვის შემაფერხებელ ფაქტორად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რის გამოც დასწევს კიდევ თვალები ადარნასე კურაპალატს. თუ ეს თვალსაზრისი მისაღებია, მაშინ გასაგები უნდა იყოს ნერსეს სიხარული ქართლის ერისმთავრად სტეფანოზის დანიშვნის გამო: „მაშინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებამ იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან“³³.

ამგვარად, კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის გენეალოგია, აშოტ კურაპალატამდე³⁴, ასე გვესახება³⁵:

გუარამ I კურაპალატი 545/46 — 585/86




³³ ძეგლები, I, გვ. 61.

³⁴ აშოტ კურაპალატადან ქვემოთ, ბაგრატიონთა შთამომავლობითი შტო, მეპატონის სუმბატ დავითის ძის ცნობების მიხედვით, იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, II, ჩანართი გვ. 332-ის მეორე და ე. თაყაიშვილის მიერ 1946 წ. გამოცემული „სუმბატ დავითის ძის ქრონიკა“.

³⁵ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიერ დასახელებული არშუშა კურაპალატის, გუარამ ყრმაჲ-ს, ბალდადისა და მისი ძის ბაკურეანის ვინაობა ვერ დავადგინეთ. ამიტომ აღნიშნული პირები ტაბულაში არ არიან დასახელებული.

რაც შეეხება ხოსროიანთა სახლს, აქ ასეთი სურათი ჩახს:



VIII

ზემოთ ვნახეთ, რომ არჩილმა 730 წლისა და, შესაძლოა, სტეფანოზ მამფალის გარდაცვალების (739) მერე, ადარნასეს „მისცა შულავერი და არტანი“¹. შულავერი, რომელიც ქვემო ქართლში მდებარეობს, დიდად არის დაშორებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პროვინციას — არტანს და ძნელია ავხსნათ, თუ რატომ უნდა მიეცა არჩილ II-ს ადარნასესათვის ერთმანეთისაგან ტერიტორიულად შორს მდებარე ორი ქვეყანა².

1. ვახუშტი ბატონიშვილით, შულავერი ქვემო ქართლში მდებარეობს³, რაც ასევეა მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურაშიც⁴. ვახუშტისთან ვხვდებით ერთადერთ მითითებას შულავერის ხევზე, რომელიც ერუშეთის მთიდან გამომდინარეობს⁵. ერთი შეხედვით ჯუანშერთან ყველაფერი რიგზე უნდა იყოს, რადგან შულავერის ხევი არტანის მომიჯნავე ჯავახეთში მდებარეობდა.

თუ ვირწმუნებთ, რომ არჩილ II-მ ადარნასეს მისცა არტანი და ჯავახეთში მდებარე შულავერის ხევი, გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდებით. ასეთ შემთხვევაში ბუნდოვანია, რატომ უნდა დაესახელებინა ჯუანშერს ჯერ შულავერის ხევი, ხოლო შემდეგ მასზე

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

² ამას თავის დროზე უპირადლება მიჰქცია ნ. ბერძენიშვილმა (იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 2, თბ., 1964, გვ. 21).

³ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 310, 501.

⁴ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 92.

⁵ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 667.

დიდი ქვეყანა — არტანი. გარდა ამისა, თუ დავუშვებდით, რომ შულავერის ხევი ჭავახეთის ტერიტორიაზეა, მაშინ გაუგებარი იქნებოდა, როგორღა ფლობდა ჭავახეთს გუარამ კურაპალატის ძე, რომელსაც არჩილმა მიპრის ასული მისცა ცოლად⁶. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ჭუანშერის დასახელებულ შულავერში ქვემო ქართლის ქვეყანა იგულისხმება.

2. ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანში⁷ (ჭუანშერთან) ნათქვამია, რომ არჩილმა ადარნასეს მისცა *q̄l̄īx̄z̄a* *և* *q̄š̄q̄īs̄er* *և* *q̄s̄t̄ōs̄n̄t̄* „რიშა, შულავერი და ატონე“⁸.

„ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში არტაანი შვიდჯერ არის დასახელებული და სომეხი მთარგმნელი ყველგან უშეცდომოდ არტაპანს (*Արտաբան*) წერს⁹, როგორც ვიცით, ქართულ ტექსტში იქ, სადაც არჩილ II მიერ ადარნასესათვის ქვეყნის ბოძებაზეა მოთხრობილი, შულავერი და არტაანია დასახელებული. XIII საუკუნის მიწურულისათვის, სომეხი მთარგმნელის ხელთ არსებული ქართული ტექსტის შესაბამის ადგილზე შულავერის შემდეგ არტაანი რომ ყოფილიყო დასახელებული, ეჭვგარეშეა, სომეხი მთარგმნელი აქაც უშეცდომოდ არტაპანს გადმოწერდა, ისევე, როგორც ეს შვიდჯერ უნაკლოდ გააკეთა. ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ XIII საუკუნის მიწურულისათვის სომეხ მთარგმნელს ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ქართული ნუსხა, სადაც არჩილ II-ის მიერ ადარნასესათვის მიცემულ ქვეყნებად, რიშასა და შულა-

⁶ „ერთი (მიპრის ასული, გ. ა.) მისცა მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა, რომელსა ჰქონდა ქლარჯეთი და ჭავახეთი“ (ქ-ცბა, I, გვ. 241).

⁷ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით ვამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953 „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის უძველესი ნუსხა 1279—1311 წლებს შორის არის გადაწერილი და იგი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ქართლის ცხოვრების ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ნუსხებს (ანა დედოფლისძე XV ს. ნუსხას). ი. აბულაძის სამართლიანი შენუშენით, სომხურ თარგმანს „შეუძლია სათანადო წვლილი შეიტანოს როგორც საქართველოს ისტორიისათვის უაღრესი მნიშვნელობის მქონე ამ ქართული წყაროს ერთ-ერთი ნუსხის წარმომადგენელმა“ (იქვე, გვ. VI).

⁸ იქვე, გვ. 199.

⁹ იქვე, გვ. 13, 33, 34, 49, 54, 182, 232. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს ეხედებით მატენადარანის № 3070 ხელნაწერის 1672 წ. ნუსხაში, სადაც *Արտաբან*-ია დასახელებული, რაც გამომცემელს ვარიანტის სახით მოაქვს (იხ. იქვე, გვ. 54, მე-4 შენიშვნა), მაგრამ აქაც კი გამოსაცნობია არტაპანი („არდაპანი), რასაც ვერ ვიტყვით „ატონეზე“.

ვერის შემდეგ, დასახელებული ყოფილა არა არტაანი, არამედ ატონე, ან მისი მსგავსი ტოპონიმი.

ჯუანშერის თხზულების ძველ სომხურ თარგმანში ადარნასესათვის მიცემულ სამემკვიდრეო სამფლობელოთაგან ჯერ რიშა (Ռիշա). შემდეგ შულავერი და ბოლოს ატონეა დასახელებული. მათი თანამიმდევრობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რიშა უფრო მნიშვნელოვანი ქვეყანა ჩანს, ვიდრე შულავერი, ხოლო ატონე მათთან შედარებით უფრო მცირე ქვეყანა უნდა ყოფილიყო. ეს გარემოებაც გვარწმუნებს, რომ ატონეს და არტაანის (არტაპანი) გაიგივება საეჭვოა.

3. ი. აბულაძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „რუსთავი ყველგან სომხურად „რიშა“-დ (Ռիշա) არის წარმოდგენილი“. მკვლევრის დაკვირვებით, „რიშა“, როგორც ირკვევა, რუსთავის ძველი სახელწოდებაა („არიშა“) და არა მარტოოდენ „რუსთავის ციხისა“, როგორც ეს პ. ინგოროყვას ჰგონია¹⁰.

ლ. ჭილაშვილის ვარაუდით, სომხური ტერმინი „რიშა“ ქართული „რუსთავის“ დამახინჯებული სომხური ვარიანტი უნდა იყოს (რუსთავი-რიშა)¹¹.

როგორც ირკვევა, არჩილ II-ს ადარნასესათვის მიუცია რუსთავი („რიშა“), შულავერი, რომელიც ქვემო ქართლში მდებარეობს და ატონე. ეს უკანასკნელი არტაანს არ გულისხმობს და, ბუნებრივია, რუსთავთან ან შულავერთან, კახეთში ან ქართლში უნდა იყოს საძიებელი.

სპეციალურ ლიტერატურაში თავის დროზე იყო აღნიშნული, რომ ქართლის ცხოვრების სომეხ მთარგმნელს ხელთ უნდა ჰქონოდა ნუსხურით ნაწერი ქართული ხელნაწერი, რადგან სომხურ თარგმანში გრაფიკულად მსგავსი ასოებია აღრეული. ასეთებად დასახელებულია: ყ(შ), ყ(ბ), რ(პ), რ(ლ) ასოები, სადაც რიგ შემთხვევაში ყ(შ) სომხურ რ(პ)-თია გადმოცემული, ხოლო რ(პ) სომხური ჯ(ლ)-თი. ი. აბულაძის მოსაზრებით, ცალკეულ შემთხვევაში ასეთი აღრევა სომეხ მთარგმნელს უნდა მივაწეროთ, რადგან მას შეეძლო შეცდომა დაეშვა მისთვის უცნობი სიტყვების გადაწერის დროს, მაგრამ, შესაძლოა, ასეთი შეცდომები თვით ქართული დედნიდანვეც მომდინარეობდა¹².

¹⁰ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 21.

¹¹ ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი, თბ., 1958, გვ. 49.

¹² ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 214, 215.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლოდ გვეჩვენება ვიფიქროთ, რომ ჩვენთვის საინტერესო სომხურ ტექტში *Ասասնէ* — ატონე — ატენის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს.

ასეთი ვარაუდი მით უფრო რეალურად მოგვეჩვენება, თუ ვირწმუნებთ, რომ სტეფანოზ მამფალი ატენის სიონშია დაკრძალული. ამაზე მიგვანიშნებს მისი გარდაცვალების მაუწყებელი წარწერის ეპიტაფიური ფორმა და ხასიათი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება 1966 წელს ატენის სიონის სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ტაძრის ინტერიერის გათხრის შედეგები. საკურთხევლის წინ, სტეფანოზ მამფალის გარდაცვალების მაუწყებელი წარწერის მახლობლად, გამოვლინდა ქვაყუთის ფორმის სამარხი, რომელიც მისი ინვენტარის მიხედვით VIII საუკუნით არის დათარიღებული¹³.

რეალურად გვეჩვენება ვიფიქროთ, რომ ამ სამარხში სტეფანოზ მამფალი ყოფილა დაკრძალული, რადგან იგი სწორედ იმ წარწერისკენ არის დამხრობილი, რომელიც სტეფანოზის გარდაცვალებაზე, მის სოციალურ მდგომარეობაზე და, ერთგვარად, ღვაწლზეც მიუთითებს. აღნიშნული გარემოება იმ დასკვნის უფლებას გვაძლევს, რომ ატენის ქვეყანას სტეფანოზ მამფალის ვრცელ სამფლობელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, ხოლო სიონი მის საძვალეს წარმოადგენდა.

IX

როგორც ჩანს, ატენის სიონი ბაგრატიონთა გვარის ფუძემდებლად დასახელებული გუარამ კურაპალატის შთამომავალთა ერთ-ერთი შტოს საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. ბუნებრივი იქნება ვივარაუდოთ, რომ ტაძრის მშენებლობაში ბაგრატიონთა გვარის ამ შტოს წარმომადგენლებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამ საკითხის გარკვევისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად მიგვაჩნია ნერსე და სტეფანოზი, რომელთაგან ნერსე დიდი 682/86—689 წლებში ქართლისა და სომხეთის ერისმთავარია, ხოლო მისი ძე, სტეფანოზ მამფალი, 711—739 წლებში ქართლისა და ეგრისის „ერისთავ-ერისთავსთა უფალია“.

1. ატენის სიონის სკულპტურული რელიეფებიდან გამოიყოფა

¹³ ვ. ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, ატენის სიონის ინტერიერის არქეოლოგიური გაწმენდის შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, 1973, გვ. 102—115.

ერთი ჯგუფი, რომელიც ტაძრის რესტავრაციის ხანას — X საუკუნის მიწურულს განეკუთვნება. აღნიშნული პერიოდის სკულპტურულ გამოსახულებათა ერთი ნაწილი ქვის მთლიან ფილებზეა განაწილებული, ხოლო მეორე ორი ფილისაგან შედგება. ასეთი ორი ნაწილისაგან შედგენილი სკულპტურული რელიეფების თითოეულ ფილაზე რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი ერთი და იგივე ასო-ნიშნებია ამოკვეთილი, რაც სარესტავრაციო სამუშაოების დროს შესრულებული რელიეფების ფასადებზე უშეცდომოდ გასანაწილებლად და ორი ფილისაგან შედგენილი გამოსახულებების მონტაჟისათვის იყო აუცილებელი¹.

აღმოსავლეთის ფასადის შვერილის ჩრდილოეთის წახნაგზე მოთავსებული ქვის ორი ფილისაგან შედგენილი ქტიტორის რელიეფური გამოსახულება ერთადერთი გამონაკლისია, რომელზეც რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი ასოები არ არის ამოკვეთილი, თუმცა, აღნიშნული გამოსახულების ფეხსაცმელების ქუსლებზე (sic) ქართული ნუსხური წერილი შრიფტით ამოკვეთილია მარჯვენაზე — ჩიხსი (ნერსე), მარცხენაზე — სღიჟანოზ (სტეფანოზ)² (სურ. 8).

ე. წ. „ნერსე-სტეფანოზის“ რელიეფური გამოსახულება, რომელიც X საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება და ატენის სიონის შეკეთება-რესტავრაციის პერიოდშია შესრულებული, ტაძრის ფასადზე საკმაოდ მაღლაა მოთავსებული. ამის გამოა, რომ გამოსახულების ფეხსაცმელების ქუსლებზე ამოკვეთილი წერილი წარწერა მნახველისათვის შეუმჩნეველია. ექვგარეშეა, ოსტატმა აღნიშნული წარწერა გარკვეული მოსაზრებით ისე ამოკვეთა, რომ რელიეფის დათვალიერების მანძილიდან მნახველისათვის შეუმჩნეველი ყოფილიყო. ამიტომ იყო, რომ მისი არსებობა მხოლოდ ამ რელიეფის ესტამპის შესრულების დროს (1938 წ.) გახდა ცნობილი.

აღნიშნული გარემოება ორი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას გვაძლევს: I. ნერსე და სტეფანოზი რელიეფის შემსრულებელი ოსტატები უნდა იყვნენ, რომლებმაც ხელი მოაწერეს თავიანთ ნაწარმოებს. II. ატენის სიონში ჩატარებული სარესტავრაციო სა-

¹ Г. Абрамшвили, Два строительных периода Атенского Сиона, „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 1, 1972, გვ. 46, 47.

² Г. Н. Чубишвили, Памятник типа Джвари, გვ. 161. აღნიშნული წარწერა ატენის სიონის უძველესი (VII ს. 30-იანი წლები) ლაპიდარული წარწერის ნიმუშად არის მიჩნეული (თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41). ჩვენი აზრით, სკულპტურული რელიეფიც და მისი წარწერაც X ს. 80-იან წლებშია შესრულებული (Г. Абрамшвили, დასახ. ნაშრ., გვ. 53, 54, სურ. 13, 20).

მუშაოების დროს ეს რელიეფი, შესაძლოა, იმ ადგილებზე უნდა მოეთავსებინათ. სადაც თავდაპირველად ვინმე ნერსესი და სტეფანოზის დაზიანებული რელიეფური ფიგურები იყო მოთავსებული. ასეთი ვარაუდის შემთხვევაში, ფეხსაცმელების ქუსლებზე ამოკვეთილი წარწერა ტოპოგრაფიულ მინიშნებად უნდა მიგვეჩნია.

პირველ ვარაუდზე კატეგორიულად რაიმეს თქმა ძნელდება, მაგრამ ის ფაქტი, რომ ატენის სიონის ორ რელიეფზე ოსტატები ზედმეტად მსხვილი ასოებითაც კი აწერენ ხელს თავიანთ ნამუშევრებს³, საეჭვოს ხდის ფეხსაცმელების ქუსლებზე წვრილი ასოებით ამოკვეთილი სახელების, ოსტატების ხელმოწერის ვარაუდს.

ვარაუდის ფარგლებს არც მეორე თვალსაზრისი სცილდება, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოვდივართ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული იმ თვალსაზრისიდან, რომ ატენის სიონის ხუროთმოძღვარი მცხეთის ჯვარს ითვალისწინებს და ზუსტად იმეორებს⁴. სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების განუყოფელი ნაწილია მისი დეკორაციული სისტემა, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს შეადგენს ფიგურული გამოსახულებანი. ეს გულისხმობს, რომ ატენის სიონის ხუროთმოძღვარს მისი მაგალითის, მცხეთის ჯვარისაგან საკუთრივ ხუროთმოძღვრული ფორმებისა და შიგა სივრცის ორგანიზაციის გარდა, მისი დეკორაციული სისტემაც უნდა გაეთვალისწინებინა, რამდენადაც იგი ხუროთმოძღვრების საერთო მხატვრულ ამოცანებში შედის და ტაძრის ორგანულსა და განუყოფელ ნაწილს შეადგენს. შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ატენის სიონში მცხეთის ჯვარის სტერეოტიპული დეკორაციული სისტემა ვეძებოთ, მაგრამ, ვფიქრობთ, სკულპტურულ რელიეფთა რეგლამენტაციისა და ფასადებზე განაწილების წესში გარკვეულად უნდა აღბეჭდილიყო მისი მაგალითის — მცხეთის ჯვარის დეკორაციული სისტემის — ძირითადი მხატვრული ამოცანები.

ამ თვალსაზრისით, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რომ მცხეთის ჯვარის იმავე წახნაგებზე, რომელზეც ატენის სიონში ე. წ. „ნერსე-სტეფანოზის“ რელიეფია მოთავსებული, ორი საერო პირი — ადარნასე და მისი ძე — სტეფანოზია გამოსახული. ამავე შვერილის შუა და სამხრეთის წახნაგებზე კი მხოლოდ თითო ქტიტო-

³ Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., ტაბ. 59, 60.

⁴ Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., ტაბ. 121—123; შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 125.

რის ფიგურაა მოთავსებული⁵. იქნებ ასეთსავე რეგლამენტაციას გულისხმობდა ატენის სიონის ხუროთმოძღვარი, როდესაც აღმოსავლეთის ფასადის შვერილზე ქტიტორთა სკულპტურულ ფიგურებს ანაწილებდა? ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენ მიერ ადრე გამოთქმული დაკვირვება — რომ ტაძრის მშენებლობის ურთაღებრთი სინქრონული ქტიტორული რელიეფი, რომელიც ამჟამად ტაძრის ჩრდილოეთის ფასადის შვერილის წახნაგზეა მოთავსებული, თავდაპირველად სამხრეთის ფასადის შვერილის შუა წახნაგზე უნდა ყოფილიყო განაწილებული და როგორც ტოპოგრაფიის. ისე იკონოგრაფიული სქემის თვალსაზრისით იმეორებდა და ითვალისწინებდა მცხეთის ჯვარის იმავე ფასადზე გამოსახულ ქობულის სკულპტურულ ფიგურას⁶. ასეთი მსგავსება სიუჟეტის კომპოზიციურ აღნაგობასა და ფასადზე რელიეფთა რეგლამენტაციაში, უფიქრობთ, მხოლოდ იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ატენის სიონის ხუროთმოძღვარი მცხეთის ჯვარს ითვალისწინებს მის მთლიანობაში, ტაძრის განუყოფელ დეკორაციულ სისტემასთან ერთად.

2. როგორც ირკვევა, გუარამ კურაპალატის სახლის ერთ-ერთი წარმომადგენელი — ნერსე დიდი, 682/86—689 წლებში მაინც, ქართლისა და სომხეთის ერისმთავარია, ხოლო სტეფანოზ მამფალი 730/31—739 წლებიდან, ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალია.

ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ატენის ქვეყანა ადრე-ფოდალურ ხანაში საძვალე და სამემკვიდრო დომენი უნდა ყოფილიყო კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის იმ შტოსი, რომელიც გუარამ კურაპალატისა და მისი ძის — ბაკურიდან მომდინარეობდა. ასეთი დასკვნის საფუძველი მოგვცა სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერის ეპიტაფიურმა ხასიათმა, აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ სტეფანოზის გარდაცვალების შემდეგ ატენის ქვეყანა მის უმცროს ძმას, ადარნასეს უბყრია. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ატენის სიონის მოხატულობის ქვეშ მოქცეული ფრესკული ეპიტაფიები, რომლებიც 1956 წელს ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოვლინდნენ⁷. სტეფანოზ მამფალის წარწერის ქრონოლო-

⁵ Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., ტაბ. 18, 19.

⁶ Г. Абрамишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 44, 45.

⁷ თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 15—16, 18—19. ერთი მათგანი ადრევე იყო ცნობილი და მისი ცუდად ხილვადობის გამო ს. ბარნაველმა მხოლოდ ნაწილობრივ გამოაქვეყნა (საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოაზბე, ტ. VII, 1—2, თბ., 1946, გვ. 83—89). 1956 წელს წარწერა გაიწმინდა და დღეს კარგად იკითხება, არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი წარწერები კიდევ აღმოჩნდეს მოხატულობის ქვეშ.

გიურად მომდევნო ხანის ფრესკული ეპიტაფიური წარწერა საკურთხევლის აფსიდის სამხრეთის კალთაზეა მოთავსებული. წარწერა, რომელიც კარგა ხანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში, დედოფალ გუარამავრის 837 წელს გარდაცვალებას გვაუწყებს. თ. ბარნაველის მოსაზრებით, დედოფალი გუარამავრი, რომელიც სხვა ისტორიული წყაროებით ცნობილი არ არის, ადგილობრივ მფლობელთა გვარიდან უნდა იყოს⁸.

გუარამავრის ფრესკული წარწერის ეპიტაფიური ხასიათი იმაზე მიგვანიშნებს, რომ დედოფალი ატენის სიონშია დაკრძალული. საფიქრებელია, ისევ საკურთხევლის წინ, როგორც თავის დროზე სტეფანოზ მამფალი დაუკრძალავთ. რაც შეეხება დედოფალის საგვარეულო სახლისადმი კუთვნილებას, ამ მხრივ წარწერა არაფერს გვაწვდის. მაგრამ ერთი ცხადია, რომ დედოფალ გუარამავრის გარდაცვალების მაუწყებელი წარწერა ტაძრის ყველაზე საპატიო ადგილზე — საკურთხევლის აფსიდში მოუთავსებიათ, ისევე, როგორც ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის — სტეფანოზ მამფალის ეპიტაფია მოუთავსებიათ საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთის კალთაზე. ამ თვალსაზრისით თუ შევაფასებთ „დედოფალ“ გუარამავრს, იგი სოციალურად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ პიროვნებად შეგვეძლო მიგვეჩნია და არა ადგილობრივ ფეოდალად⁹.

დედოფალ გუარამავრის იდენტიფიკაციის თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება ატენის სიონის სამხრეთის აფსიდის დასავლეთ კალთაზე მოთავსებული ფრესკული წარწერა, რომელიც კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. წარწერა მოგვითხრობს: 853 წელს ბუღა თურქის მიერ თბილისის დაწვაზე, თბილისის ამირას — საჰაკის სიკვდილით დასჯაზე და ზირაქის მიერ კახას და მისი ძის — თარხუჯის შეპყრობაზე¹⁰.

არა გვგონია შემთხვევითი იყოს ამ წარწერის ატენის სიონში მოთავსება. თუ ვივარაუდებთ, რომ წარწერის შემსრულებელმა იმ დროისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამბავი დააფიქსირა, გაუ-

⁸ თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 16—181.

⁹ აქ მხედველობაში გვაქვს თ. ბარნაველის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც არა ჩანს, რომ ადგილობრივ ფეოდალთა საგვარეულოში ბაგრატიონთა სახლი იგულისხმებოდეს.

¹⁰ Н. А. Джавახов. К вопросу о времени построения грузинского храма в Атеши по вновь обследованным эпиграфическим памятникам, «Христианский Восток», I, вып. III, СПб, 1912, сс. 278, 279; თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 17—18.

გებარი უნდა იყოს, რაღა მაინცდამაინც ატენის სიონში უნდა ასახულიყო თბილისის დაწვის ეს ცნობა და არა სხვა, უფრო მნიშვნელოვან ეკლესიაში, ან რა აუცილებლობით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი საქართველოს უპირველესი ქალაქის დაწვის ცნობა ეკლესიის კედლებზე ასახულიყო? ექვგარეშეა, წარწერის პირველი ნაწილი აქ მხოლოდ იმ აზრით არის მოტანილი, რომ მკითხველს აუწყოს ძნელბედობის ის საერთო სიტუაცია, რომლის დროსაც შეუპყრიათ კახა და მისი ძე თარხუჯი. სხვაგვარად ვერ აეხსნით რატომ უნდა გაეერთიანებინა წარწერის დამწერს 5 და 26 აგვისტოს მომხდარი ორი, სრულიად სხვადასხვა ამბავი. ის ფაქტი, რომ წარწერაში კახას გარდა მისი ძე თარხუჯიცაა დასახელებული, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წარწერის ძირითადი აზრია მკითხველს აუწყოს კახას და მისი ოჯახის თავს დამტყდარი უბედურება, რომლის მოსალოდნელი დასასრულის საშინელებას იქნებ ითვალისწინებდა კიდევ წარწერის შემკვეთი-შემდგენელი. ცხადია, აღნიშნული წარწერა კახასადმია მიძღვნილი და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, სწორედ ატენის სიონში უცვნიათ მიზანშეწონილად მისი მოთავსება.

კახა წარმოშობით კახეთის ფეოდალთა სახლიდან იყო¹¹ თუ ქართლის მკვიდრი, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის¹², რადგან „ცხოვრებიდან“ ნათლად ჩანს, რომ მის სამყოფელსა და სამფლობელოს შიდა ქართლის ქვეყნები მოიცავდა („სანახებსა ზენა სოფლისასა“). ის ფაქტი, რომ კახას შეპყრობის ცნობა მისი სიკვდილით დასჯამდე¹³ აისახა ატენის სიონში, გვარწმუნებს, რომ კახა — „წარჩინებული ფრიად დიდად ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა“, რომელსაც „ფრიადი სიმდიდრეჲ აქუნდა და მრავალი საშუებელი ამის სოფლისაჲ“¹⁴, შიდა ქართლის სხვადასხვა სამფლობელო ტერიტორიასთან ერთად ატენის ქვეყანასაც ფლობდა.

ამ თვალსაზრისით თუ შევაფასებთ დედოფალ გუარამავრის გარდაცვალების მაუწყებელ ფრესკულ წარწერას (837 წ.), იდენტიფი-

¹¹ ასე მიიჩნევს კ. კეკელიძე. იხ. მისი კონტანტი კახას მარტვილობა და ეწნაობა, ეტიუდები, 1, თბ., 1956, გვ. 136.

¹² ივ. ჯავახიშვილი არაფერს ამბობს კახას წარმოშობაზე. იხ. И. А. Джавахадзе, К вопросу о времени..., «Х. В», I, Вып. III, СПб., 1912, გვ. 277—297; ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი..., გვ. 77—81. მისივე, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 95, 96.

¹³ აღნიშნულ გარემოებას თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება. И. А. Джавахадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 283.

¹⁴ ძეგლები, I, გვ. 165.

კაციის აზრით, საყურადღებო დასკვნას მივიღებთ. კოსტანტი-კახას „ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ კახა სიკვდილით დასჯის დროს 85 წლისა ყოფილა. გამოდის, რომ იგი 768 წელს დაბადებულა (853—85=768) და, როგორც ვიცით, 853 წლის 10 ნოემბერს დასაჯეს სიკვდილით. როგორც ჩანს, კახა და დედოფალი გუარამავრი თანამედროვენი ყოფილან. 837 წელს, გუარამავრის გარდაცვალების დროს, კახა 69 წლის ყოფილა (837—768=69).

თუ მისაღებია ის თვალსაზრისი, რომ კახა ატენის ქვეყანას ფლობდა, იქნებ, უსაფუძვლო არ იყოს ვიფიქროთ, რომ კახა, „ვიტარცა წინამძღუარი და წარჩინებული ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა და პირი ნათესავთა მისთაჲ“¹⁵, მეუღლე ყოფილა გუარამავრ დედოფლისა, რომლის გარდაცვალების მაუწყებელი წარწერა ტაძრის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში, საკურთხეველში, სტეფანოზ მამფალის წარწერის პირისპირ მოუთავსებიათ. წარწერების ასეთი რეგლამენტაცია გვარწმუნებს, რომ „დეოფალი“ გუარამავრი ბაგრატიონთა სახლის იმ შტოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც სტეფანოზ მამფალი მიეკუთვნებოდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია სუმბატ აშოტის ძის ფრესკული ეპიტაფია, რომელიც ატენის სიონის საკურთხეველის ბემის სამხრეთის კედელზეა მოთავსებული; წარწერა, რომელიც სუმბატ აშოტის ძის 885 წელს გარდაცვალებას გვაუწყებს, სამეცნიერო-ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი¹⁶.

ზემოთ ვნახეთ, რომ VIII—IX საუკუნეებში მაინც, ატენის სიონის საკურთხეველის აფსიდაში, კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის იმ ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელთა ეპიტაფიები მოუთავსებიათ, რომელთათვისაც ატენის სიონი საძვალეს წარმოადგენდა. ვფიქრობთ, ამ ნიშნით უნდა შეფასდეს სტეფანოზ მამფალისა და დედოფალ გუარამავრის გვერდით მოთავსებული სუმბატ მამფალის წარწერაც.

¹⁵ ძეგლები, I, გვ. 167.

¹⁶ ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, 1—2; თბ., 1946, გვ. 83—89. თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 18—19. წარწერა ძირითადად სწორად არის წაკითხული. ჩვენი ურადღება მიიქცია წარწერის ბოლო სტრიქონის წაკითხვამ: „წმიდაო ეკლესიაო შეეწია სულკურთხეულსა სულასა“, რომელიც უინაარსობრივად არაერთარ კავშირში არ არის მთლიან ტექსტთან. წარწერის შესწავლამ გვაჩვენა, რომ აქ შემდეგი იკითხება: **წ.ღ. 'იხუ' სუჯღ უიქიუ ლ'იფიხს სუსჯს** „წ(მიდა)ო ეკლესიაო შეეწიე გ(ან) კ(რ)თხვ(ა)სა ს(ული)სასა“.

ბაგრატიონთა საგვარეულოს მემკვიდრის — სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში IX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლში ერთადერთი სუმბატ აშოტის ძეა დასახელებული, რომელიც ქრონოლოგიურად კარგად ეთანხმება ატენის სიონის წარწერაში დასახელებულ სუმბატ მამფალს.

სუმბატ დავითის ძის ცნობით, „აშოტ კეკელაძე, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქრონიკონსა 3^ზ, და დაუტევა გურგენ, რომელი შემდგომად კურაპალატად დასუეს, და სუმბატ არტანუჯელი ანთიპატრიკი“¹⁷, როგორც ირკვევა, აშოტ კეკელა 867 წელს გარდაცვლილა. თუ მისაღებია ის ვარაუდი, რომ ატენის სიონის წარწერაში დასახელებული სუმბატ აშოტის ძე აშოტ კეკელას უმცროსი შვილი უნდა ყოფილიყო, როგორც ამას ფიქრობს ე. თაყაიშვილი¹⁸, მაშინ გამოვა, რომ სუმბატ მამფალი მამის გარდაცვალებიდან 18 წლის შემდეგ — 885 წელს გარდაცვლილა.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „აშოტ დიდ კურაპალატის რიცხვმრავალ ჩამომავლობაში ცხადად ემჩნევა ორი უმთავრესი შტო: ერთს ეკუთვნოდნენ „კლარჯნი კელმწიფენი“, რომელნიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ამავე დროს არტანუჯელნი ყოფილან. თუ უკანასკნელ კლარჯ კელმწიფეთა წინაპრების შტოს დავაკვირდებით, სწორედ ამ შტოს წევრები იწოდებიან არტანუჯელებად; და ამასთანავე, გვარამ აშოტ დიდის ძის გარდა, მხოლოდ ამავე არტანუჯელ-კლარჯ „კელმწიფეებს“ უტარებიათ „მამფალი“-ს სახელწოდება“. მკვლევრის მოსაზრებით, „მამფალი იმგვარადვე არის ნაწარმოები, როგორც დედოფალი; მხოლოდ, რითი განსხვავდებოდა „მამფლობა“ სხვა სახელისუფლო სახელისაგან, ან რად იყო იგი განსაკუთრებით არტანუჯელ-კლარჯ მთავრების სახელწოდება, არა ჩანს“¹⁹.

ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ ატენის სიონის წარწერაში დასახელებული მამფალი — სუმბატ აშოტის ძე კლარჯეთის ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნის. ამ თვალსაზრისით რომ შევაფასოთ ატენის სიონის საკურთხევლის აფსიდაში არსებუ-

¹⁷ ქ-ცბა, I, გვ. 378. მატანე ქართლისა არ ასახელებს აშოტ კეკელას არც ერთ ძეს (ქ-ცბა, I, გვ. 259). ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „მოკლედა აშოტ კეკელა, ძე ადარნასესი ქსა ყ^დზ, ქარ. 3^ზ და არა დაუტევა ამან ძე (ქ-ცბა, IV, გვ. 697).

¹⁸ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამოცემით. თბ., 1943, გვ. 63.

¹⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, სბ., 1949, გვ. 110.

ლი სამივე ფრესკული ეპიტაფია, ძეგლის ისტორიისათვის ასეთ საყურადღებო დასკვნას მივღებთ: ატენის სიონი კლარჯეთის ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს საგვარეულო საძვალეს წარმოდგენდა და. ეკვგარეშეა, ტაძრის მშენებლობაში ბაგრატიონთა გვარის ეს წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. ასეთ პირებად გვესახება ნერსე და სტეფანოზი, რომელთა სახელებს, ტოპოგრაფიული მნიშვნელობის სახით, უნდა იმეორებდეს რეტსავრაციის ხანის ოსტატი-მოქანდაკე, რომელსაც მათი თავდაპირველი სკულპტურული გამოსახულების ნაადგილარში უნდა მოეთავსებინა ახალი რელიეფი²⁰ (სურ. 8).

„ქართუელთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავსთა უფალი“ — სტეფანოზ მამფალი ატენის სიონის ქტიტორთა უმცროსი თაობის წარმომადგენელი უნდა იყოს.


²⁰ Г. Абрамшвили, დასახ. ნაშრ., გვ. 53, 54.




სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



Եջր. 4

ሆኑ፡፡ ለዚህ ምክንያት

የደብዳቤዎን ግብር ይጠቅሙ፡፡

ሆኑ



Г. В. АБРАМИШВИЛИ

ФРЕСКОВАЯ НАДПИСЬ СТЕФАНОЗА МАМПАЛА В АТЕНСКОМ СИОНЕ

Резюме

В очерке даны чтение и анализ фресковой надписи 739 года, находящейся под росписью в алтарной апсиде Атенского Сиона. Исполненная древнегрузинским шрифтом «асомтаври», эта надпись была прочтена лишь фрагментарно.

Автором дается полное чтение надписи:


«В 21-ый год царствования коронованного богом Арчила, царя нашего, в благоуслужении которого, в 121 году властвования арабов преставился мампал Стефаноз, владыка от бога над эриставт-эриставами картвелов и мегрелов, месяца октября, 14-го дня, в среду, в час ночи. В этот год минуло 29 лет его княжения».

В предлагаемом автором прочтении текста установлены даты, впервые дано чтение некоторых строк, находящихся под слоем росписи. Среди них титулатура Стефаноза мампала — «владыка картвелов и мегрелов» — по новому освещающая ряд вопросов истории Грузии.

Вставляя в единственную лакуну текста надписи имя грузинского царя — Арчил, автор устанавливает его личность (Арчил—II) и время правления (719—745).

Стефаноз мампал отождествляется со Стефанозом, сыном Нерсе I, эристава Картли, который упоминается в грузинской хронике «Обращение Картли», совместно с братом Адарнасе и сыновьями.

В работе уточнена генеалогия грузинского рода Багратиони и выяснено, что к нему принадлежал и Стефаноз мампал.



Таким образом, устанавливается, что родоначальник грузинской царской династии Ашот курапалат был прямым потомком Гуарама I, а высказанное в литературе мнение об идентификации Адарнасе II Слеплого, упоминаемого у Джуаншера, с Багратом Слепым из рода Армянских Багратидов, является ошибочным.

В работе показано, что одним из ктиторов Атенского Сиона был Нерсе I Великий, эристав Картли (682/86 — 689 гг.), совместно с византийцами изгнавший арабов из Армении в 686—689 годах.

Попутно в работе уточнены некоторые факты из истории Грузии и Передней Азии, в частности, установлено, что походом 716/17 гг. в Западную Грузию и осадой Анакопии ру-

ководил арабский полководец Мухаммед ибн Мурван, а не его сын Мурван, прозванный Глухим, и он же был участником осады Константинополя в 717 году.

Стефаноз мампал является представителем младшего поколения ктиторов Атенского Сиона, построенного к концу VII века.

GURAM ABRAMISHVILI

MURAL INSCRIPTION OF STEPANOZ MAMPAL
IN THE ATENI SIONI

Summary

The essay presents the reading and analysis of the mural inscription of 739 found below the altar apse painting in the Ateni Sioni church. Executed in old Georgian 'asomtavruli', the inscription in question has hitherto been read only fragmentarily. The author gives a full reading of the inscription:


"In the 21st year of the reign of the God-crowned Archil our King, in whose loyal service, in the 121st year of the sway of the Arabs, the Mampal Stepanoz, God-ordained Lord of the eristav-of-eristavs of the Kartvels and the Megrels, passed away on October 14, Wednesday, one o'clock at night. This ended 29 years of his princely rule".

In the author's reading of the text the dates are ascertained and some lines under the layer of painting have been read for the first time. These include the title of Stepanoz the Mampal: "Lord of the Kartvels and the Megrels", a number of questions of the history of Georgia is given a novel interpretation.

By inserting the name of the Georgian King Archil into the only lacuna of the text the author has ascertained the King's, identity (Archil II) and the period of his reign (719 - 745).

Stepanoz the Mampal is identified with Stepanoz the son of Nerse I, eristav of Kartli who is mentioned together with his brother Adarnase and his sons in the Georgian chronicle "Conversion of Kartli".

The genealogy of the Georgian House of Bagrationi is specified, and Stepanoz the Mampal has been found to belong to the same house.



Thus, it is ascertained that the founder of the Georgian Royal House Ashot the Curopalate was a direct descendant of Guaram I and that the idea suggested in the literature identifying Adarnase II the Blind, mentioned by Juansher, with Bagrat the Blind of the Armenian House of Bagratids is erroneous.

It is shown that one of the founders of the Ateni church was Nerse I the Great, eristav of Kartli (682/86 - 689) who, jointly with the Byzantines expelled the Arabs from Armenia in the 686 - 689 period.

Incidentally, some facts of Georgian history and the Near East are specified, in particular, the 716 - 717 campaign into Western Georgia and the siege of Anakopia was led by the Arab general Muhammed ibn Murvan and not by his son Murvan, sur-

named the Deaf; it was also the former who took part in the siege of Constantinople in 717.

Stepanoz the Mampal belonged to the younger generation of the founders of the Ateni church built by the end of the 7th century.

ИБ 426

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიმუელეიშვილი
ტექნორედაქტორი ნ. ოკუჩავა
მხატვარი ვ. ხმალაძე
კორექტორი ი. ნასარიძე

გადაეცა წარმოებას 10.5.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.10.1977;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი №1; ნაბეჭდი თაბახი 5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,20.

უე 01193;

ტირაჟი 1500;
ფასი 60 კაპ.

შეკვეთა № 1931.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба» Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19